ISSN 1512-1593

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი

JOURNAL OF GELATI ACADEMY OF SCIENCES

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის - ილია მეორის დაბადებიდან 90 წლისა და აღსაყდრებიდან 45 წლის საიუბილეო თარიღებს

1

2023

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თამარ ლეკვეიშვილი

ქუთაისი – 2023

ყდაზე - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
(https://www.ambebi.ge/article/287720-patriarkis-sashobao-epistole-2023/

გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრები
და „გელათის მეცნიერებათა აკადემიის
ჟურნალის“ თანამშრომლები

გულითადად ვულოცავთ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს

ილია II-ს

დაბადებიდან 90 წლისა და აღსაყდრებიდან 45 წლის
საიუბილეო თარიღებს
და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას
ჩვენი ეკლესიისა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ.

პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„ვჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისაგან... და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სასუფეველში“ (კოლ.1.13)

დგება ჟამი გამოუთქმელი სიდიადისა!

იშვება ქრისტე, ირღვევა სიბნელის საკვრელნი, „ჩრდილნი უკუმსვლელობენ და ჭეშმარიტება შემოდის სინათლის დასამკვიდრებლად“.

როგორ შეხვდებით მას? გვექნება მონდომება და მზაობა იმისა, რომ ჩვენც ქრისტესთან ერთად თანავიშვათ, რათა თანაჯვარსვეცვათ, თანადავიფლათ, თანაავღდგეთ და მასთან ერთად ვიყოთ მარადიულად?

ეს ურთულესი კითხვაა და მასზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენი ცხოვრების აზრის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია.

ფაქტია, ჩვენი მუდმივი ადგილი ამქვეყნად არ არის. ჩვენ ამ ყოფისთვის არა ვართ გაჩენილნი; უხრწნელად შევიქმენით და ამ მდგომარეობასვე უნდა დავუბრუნდეთ. ეს აუცილებლად მოხდება ჩვენი ამ ქვეყნიდან გასვლით, ოღონდ ჩვენი თავისუფალი ნებისა და ღვთის ნების თანხვედრაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება შემდგომი ჩვენი ხვედრი.

ჩვენი ნება ხორციელდება ჩვენი სულით, გულით, გონებითა და სიტყვით. ამიტომაც მათზე ზრუნვა განსაკუთრებულად გვმართებს.

ჩვენი სულის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა სინდისი.

სინდისი ღვთის ხმაა. მას ვერ დაიმორჩილებ, შენი სურვილისამებრ ვერ განაწყობ, ბოლომდე ვერც აღმოფხვრი; პირიქით, თავის მყოფობას მაშინაც გვაგრძნობინებს, როდესაც ვცდილობთ, გავექცეთ, თუმცა ისეც ხდება, რომ მუდმივი უგულებელყოფით მისი ხმა სუსტდება და აღარ გვესმის. არსებობს მდგომარეობაც, რასაც „დამწვარი სინდისი“ ჰქვია და ადამიანის უმძიმეს სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებს.

ქრისტიანული რწმენა და მცნებები ჩვენში სინდისის ხმის სიძლიერისა და მართებულობის ყველაზე უტყუარი განმსაზღვრელია და ჩვენი სულის სწორად განვითარების შესაძლებლობაა, რადგან სინდისი ჩვენს ნებას ღვთის ნებასთან აკავშირებს.

„ვერავინ ვერ დადებს სხვა საძირკველს, გარდა უკვე დადებულისა, რომელიც არის იესო ქრისტე. ხოლო თუ ვინ რას აშენებს ამ საძირკველზე - ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს, შეშას, თივას, ჩალას, - თითოეულის საქმე გამომჟღავნდება ... ცეცხლით გამჟღავნდება და ცეცხლითვე გამოიცდება, ვინ რას აკეთებს“ (1 კორ. 3, 11-13).

გული ცენტრია ჩვენი სიცოცხლისა, ჩვენი ცხოვრებისა; ღვთის შიში, გრძნობათა მთელი სამყარო და უფლთან ერთობის სურვილი მასში მყოფობს.

გონება კი გვეხმარება შევიცნოთ გარესამყარო და დავძლიოთ ჩვენი დაცემული ბუნება.

ცოდვისგან ადამიანის გული, გონება და სული თავისუფლდება ლოცვით, მარხვით, მღვიძარებითა და განსაცდელებით; ამიტომაც არ უნდა შეგვეშინდეს პრობლემების. სიბრძნეც გვასწავლის: „კეთილდღეობა შეიძლება უბედურებაზე საშიში იყოს და უბედურება - კეთილდღეობაზე მეტად მაცხოვნებელი.“

თუ სწორად ვცხოვრობთ, ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება, მისი შეწევნა კი შეიძლება მოვიდეს იქ და მაშინ, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდით.

* * *

ადამიანი განსაკუთრებული არსებაა, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად; საიდუმლოებით მოიცავს როგორც მაკრო, ისე მიკრო სამყაროს და შესაქმის გვირგვინად და მეფედ არის დადგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამმა და მისმა შთამომავლობამ, საღვთო ღირსებებთან ერთად, უკეთურ ძალთა თვისებებიც შეიძინა და ბოროტის გავლენის ქვეშ მოექცა, შემოქმედმა მაინც არ მიგვატოვა;

კაცთა განსწავლა ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა წინასწარმეტყველთა და მსაჯულთა მიერ, სიტყვითა და რჯულით, ასევე, ომებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით... ბოლოს კი იუდას შტოში, იესეს მოდგმაში, დავითის სახლში, დაიბადა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი - საღვთო აღმშენებლობის მთელი ისტორიის თავის თავში მომცველი.

უფლის მოწყალებით მან მოიღო მადლი, - ეშვა შემოქმედი, რათა ადამიანის ბუნება განღმრთობილიყო და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი სასწაული აღსრულებულიყო.

მოციქული ბრძანებს: „ამიერიდან აღარა ხართ მონა, არამედ შვილი, ხოლო თუკი ძე ხარ, მაშინ ქრისტეს მიერ ღმერთის მემკვიდრეც“ (გალ.4.7).

ასეთი განსაცვიფრებელი სიდიადის თანაზიარია ადამიანი;

ასეთი დიადია თითოეული თქვენგანი!

და თუ თქვენ ცხოვრობთ ქრისტიანულად სადიდებლად ღვთისა და მსახურებად მოყვასისა, არა აქვს მნიშვნელობა, მეცნიერი ხარ, პოლიტიკოსი, ექიმი, მშენებელი, გლეხი, სპორტსმენი, პედაგოგი, მძღოლი, ჯარისკაცი თუ სხვა, შენი საქმიანობა ღვთისმსახურებად შეგერაცხება და ეს იქნება შენი ოქრო, გუნდრუკი და მური უფლისთვის მირთმეული და გაიხარებ ორსავ სოფელსა შინა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ერთიანობისათვის ჩვენს ზრუნვას, რადგან გეოპოლიტიკურად რთული ადგილი გვიკავია და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი“ (გალატ.6,2), - მოგვიწოდებს წმინდა წერილი.

* * *

მოდის მაცხოვარი, რათა გაგვათავისუფლოს ურწმუნოებისაგან და ჩვენს უმნიშვნელოვანეს კითხვებს გასცეს პასუხი, უბოძოს კაცობრიობას ცათა სასუფევლის ცოდნა და სამართალი, ყველაფერს დაუბრუნოს მარადიულობა და იხსნას იგი სიკვდილისა და ხრწნილებისაგან, „რადგან კეთილ ინება მამამ, რომ მასში (ქრისტეში) დამკვიდრებულიყო მთელი სავსება და მისი საშუალებით შემოერიგებინა ყოველი“ (კოლას.1,19-20)

ყველას და, პირველ რიგში, უკრაინის ომის მძიმე შედეგებით დათრგუნულ და დაზარალებულ ბავშვებს, საერთოდ ნებისმიერ მოზარდს მინდა, მივულოცო ქრისტეშობის დიდებული ზეიმი; მივულოცო იგი ყველა ტვირთმძიმესა და მაშვრალს, რადგან ეს დღესასწაული აღმატებულია ნებისმიერ განსაცდელზე, ჰმეტობს თითოეული ჩვენგანის ტკივილს და იმედით გვავსებს.

ჩემო სულიერო შვილებო, საქართველოს მკვიდრნო და უცხოეთში მყოფნო თანამემამულენო, სულიერად წარვემართოთ ბეთლემისაკენ, რათა მწყემსებთან ერთად ვადიდოთ ყრმა იესო, მოგვებთან ერთად შევწიროთ ძღვენი,- ოქრო, გუნდრუკი და მური და ანგელოზებთან ერთად ვუგალობოთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.“

ღმერთმა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა დალოცოს საქართველო!

ინებოს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ჩვენზეც აღსრულდეს წმინდა დავით მეფის სიტყვები:

„ნეტარ არს ხალხი, ვისთვისაც ღმერთი არის უფალი, ხალხი, - მისდა სამკვიდროდ გამორჩეული“ (ფსალ. 32.12).

თქვენთვის მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
თბილისი, შობა ქრისტესი, 2023 წელი.

ელდარ ბუბულაშვილი

ღვაწლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისა

2022 წლის 25 დეკემბერს 45 წელი შესრულდა ილია მეორის კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყრდებისა, ხოლო 2023 წლის 4 იანვარს მას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. გარდა ამისა, 2022 წელი სასულიერო პირად მისი დადგინების 65-ე წელია.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ძნელი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ქ. ვლადიკავკაზში მორწმუნე მართმადიდებელი ქრისტიანების – გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილისა და ნატალია იოსების ასულ კობაიძის ოჯახში. მომავალი პატრიარქის მშობლები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ხევის სოფელ სნოში, საიდანაც ისინი 1927 წელს საცხოვრებლად გადავიდნენ ვლადიკავკაზში.

ახალშობილს მშობლებმა, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის პატივსაცემად, ირაკლი უწოდეს. ყრმობის ასაკში იგი მონათლეს ვლადიკავკაზში მოქმედ წმ. ნინოს ქართულ ეკლესიაში, რომლის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა წმ. კირიონ საძაგლიშვილის მდივანი და თანამოღვაწე არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი. მომავალი პატრიარქის ნათლია იყო მცხეთის დედათა მონასტრის იღუმენია ზოილე (დვალიშვილი), რომელიც დიდ როლს ასრულებდა ნათლულის აღზრდაში. მას ხშირად თავისი ნათლული ჩამოჰყავდა მცხეთაში, სადაც იგი არაერთ საინტერესო სასულიერო პირს შეახვედრა. მის აღზრდაში ასევე დიდი როლი შეასრულეს მშობლებმა.

მათმა ოჯახმა, ათეისტური რეჟიმის მიერ ვლადიკავკაზში ქართული ეკლესიის დახურვის შემდეგ, შეიფარა დევნილი სამღვდელოება და მრევლი. მათივე მონდომებით 1947 წელს ვლადიკავკაზში აშენდა ახალი მართლმადიდებლური ეკლესია.

ვლადიკავკაზში დასახლებული შიოლაშვილები ზაფხულს სოფელ სნოში ატარებდნენ, სადაც პატარა ირაკლი თავის დედ-მამიშვილებთან ერთად ეცნობოდა ადგილობრივ ხალხურ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა ქალაქ ორჯონიკიძის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1956-1960 წლებში, იგი საღვთისმეტყველო ცოდნას ეუფლება ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში, რომელშიც მან სრულყოფილი თეოლოგიური განათლება მიიღო. სასულიერო განათლების მიღების დროს იგი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში და ქართველ იერარქებთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, რამაც განსაზღვრა მისი მომავალი კარიერა. როგორც მოგვიანებით პატრიარქი ილია მეორე აღნიშნავს, მას განსაზღვრული ჰქონდა, სოფლად დასახლებულიყო და სოფლის მოძღვრის მოვალეობა შეესრულებინა, მაგრამ 1957 წლის 16 აპრილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ მესამის (ფხალაძე) კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მიტროპოლიტმა ზინობმა (მაჟუგა) იგი ბერად აღკვეცა ილიას სახელწოდებით. ბერად აღკვეცის შემდეგ მან სწავლა გააგრძელა ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში, სადაც 1959 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ მესამის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი პირველმა მას წმ. სერგი რადონეჟელის ლავრაში მღვდელ-მონაზვნად დაასხა ხელი.

1960 წელს მღვდელ-მონაზონმა ილიამ, საკვალიფიკაციო ნაშრომის – „ათონის ქართველთა ივირონის მონასტერი და მისი მნიშვნელობა“ – დაცვით, წარჩინებით დაამთავრა ზაგორსკის სასულიერო აკადემია. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მას შესთავაზეს, გაეგრძელებინა მოღვაწეობა აკადემიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ მან ამ შეთავაზებაზე თავაზიანი უარი განაცხადა და სამშობლოში დაბრუნდა.

საქართველოში დაბრუნებული მღვდელ-მონაზონი ილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ ბათუმის საკათედრო ტაძარში გაამწესა მღვდელმსახურად, სადაც იგი 1961 წელს ჯერ იღუმენის, ხოლო მცირეხნის შემდეგ არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი. 1963 წლის 23 აგვისტოს ეფრემ მეორის (სიდამონიძე) თავმჯდომარეობით ჩატარებულმა წმინდა სინოდის სხდომამ იგი შემოქმედელ ეპისკოპოსად გამოარჩია. მღვდელმთავრად კურთხევა ორი დღის შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა. მალევე მას პარტიარქის ქორ-ეპისკოპოსის მოვალეობის შესრულებაც დაევალა შეთავსებით. 1967 წელს მთავარეპისკოპოსი ილია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს. ახლადდანიშნულმა მღვდელმთავარმა გულთბილი ურთიერთობა დაამყარა ქართველ და აფხაზ მრევლთან, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ორი წლის შემდეგ კათოლიკოსმა ეფრემმა მას მიტროპოლიტის ხარისხი მიანიჭა.

ეპისკოპოსობის დროს მეუფე ილია საქართველოს ეკლესიის სახელით აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრასა და კონფერენციაში.

1963 წლიდან 1972 წლამდე იგი მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის მოვალეობას ასრულებდა. მისი რექტორობის დროს თავდაპირველად არსებული მცხეთის სამოძღვრო კურსები სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, საერო და სასულიერო საგნების პედაგოგებად მოწვეულ იქნენ იმ დროის საუკეთესო პედაგოგები, შეიქმნა სასწავლო პროგრამები, შემუშავდა საღვთისმეტყველო საგნების კონსპექტები და სხვა.

1977 წლის 9 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქ დავით მეხუთის (დევდარიანი) გარდაცვალების შემდეგ წმინდა სინოდმა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაადგინა მიტროპოლიტი ილია. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1977 წლის 23 დეკემბერს ჩატარებულმა მე-12 საეკლესიო კრებამ ის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. მისი ინტრონიზაცია განხორციელდა იმავე წლის 25 დეკემბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. მრავალრიცხოვანი ქართველი მრევლისა და მოწვეული სტუმრების წინაშე ახლადდადგენილმა პატრიარქმა განაცხადა: „საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა. არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და

მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისა. თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა...“

მძიმე ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობის დაწყება ახლადდადგენილ მწყემსმთავარს. ეკლესია ათეისტური საბჭოთა რეჟიმის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა. ეკლესიის საქმიანობას თვალყურს ადევნებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტი. მასთან შეთანხმების გარეშე ეკლესია თავის საქმიანობას ვერ წარმართავდა. მოქმედი ეკლესია-მონასტრების რიცხვი საკმაოდ იყო შემცირებული; ეკლესიის შემოსავლები ხელისუფლების მიერ დაბეგრილი იყო, სასულიერო პირთა რიცხვი – შეზღუდული; მოქმედ 13 ეპარქიას მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი განაგებდა. შემცირებული იყო მრევლის რაოდენობა, არ არსებობდა საღვთისმსახურო და საეკლესიო გამოცემები და სხვა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად თანდათან შეძლო შექმნილი ვითარების შეცვლა. მისი დაჟინებული მოთხოვნით ხელისუფლება დათანხმდა, 1978 წლიდან ბეჭდური სახით გამოცემულიყო სასულიერო შინაარსიის ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელშიც ცნობილი მეცნიერები ფსევდონიმებით აქვეყნებდნენ საინტერესო წერილებს. თავდაპირველად წელიწადში მხოლოდ 2 ნომერი გამოდიოდა, შემდგომ კი – 4 ნომერი. აღნიშნული ჟურნალი ამჟამადაც აგრძელებს ძველ ტრადიციებს. პატრიარქის კურთხევით აგრეთვე გამოიცემოდა ყოველკვირეული გაზეთი „მადლი“, რომელ-ზეც მოთხოვნილება მრევლში თანდათან იზრდებოდა.

მრევლზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქის მიერ წარმოთქმული ქადაგებები და საშობაო და სააღდგომო

ეპისტოლეები, რომლებიც სარწმუნოებრივ საკითხებთან ერთად ღრმა ფილოსოფიურ პრობლემებსაც ეხებოდა. ყოველკვირეული ქადაგებების გამო გაიზარდა თბილისის სიონის ტაძარში მრევლის რაოდენობა, მათ შორის განსაკუთრებით ჭარბობდა სტუდენტი-ახალგაზრდობა. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 1980-იან წლებში. საეკლესიო დღესასწაულების დროს გადაჭედილი იყო ტაძრები. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებიდან ეკლესიის წევრი და სტიქაროსანი გახდა ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც შემდგომ აქტიურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იყო ჩართული, რაშიც, უეჭველია, ეკლესიამ დიდი როლი შეასრულა. ახალგაზრდობის რელიგიური ცოდნის ამაღლების მიზნით საეკლესიო კალენდარში ქვეყნდებოდა მათთვის საინტერესო მასალები. მრევლი სიხარულით ელოდა ახალი საეკლესიო კალენდრის გამოცემას, რომელიც ხელისუფლების მიერ დაგვიანებით და მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა. ეკლესია კი მას უფასოდ ურიგებდა მრევლს.

პატრიარქმა ილია მეორემ, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით, აღადგინა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დროს არსებული „ხუთშაბათობები“, რაც ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრებსა და საუბრებს გულისხმობდა. უწმიდესისა და უნეტარესის – ილია მეორის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმით შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები დაუახ-ლოვდნენ ეკლესიას. ისინი მაზიარებლები გახდნენ და მრევლის აქტიურ წევრებად იქცნენ.

პატრიარქად დადგინებისთანავე ილია მეორემ ახალი მღვდელმთავრები აკურთხა. სულ მალე 13-ვე ეპარქიას თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა. მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მომხდარ სასიკეთო ცვლილებათა შედეგად გაიზარდა ეპარქიებისა და მღვდელმთავრების რაოდენობა. უცხოეთში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობის მომატებიდან გამომდინარე, პატრიაქის კურთხევით, 2002 წლიდან ევროპაში, ავსტრალიასა და ამერიკის კონტინენტზე არსდება ქართული ეპარქიები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ემიგრანტ ქართველთა შორის სარწმუნოებრივი და ეროვნული სულისკვეთების ამაღლებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რასაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. აღნიშნულმა ფაქტორმა გამოიწვია ქართველთა ერთიანობის გათიშულობა და დაქსასვა, რაც საგრძნობლად აფერხებს ქვეყნის წინსვლას. ქართველთა ერთიანობის მიზნით პატრიარქმა მრევლისთვის და ყოველთა მართმადიდებელთათვის შემოიღო ყოველდღიურად, განსაზღულ დროს, შვიდგზის ლოცვების კითხვა, რომლის დროსაც სხვადასხვა შეხედულების მქონე მრევლი ერთიანდება ლოცვით. შვიდგზის ლოცვანში შემავალი ლოცვები და ფსალმუნები თვით პატრიარქმა გამოარჩია და შეადგინა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის სახელს უკავშირდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისოდ აღიარება. მართალია, საქართველოს ეკლესიას უძველესი დროიდან კანონიკურად ჰქონდა დამოუკიდებლობა, მაგრამ მეოცე საუკუნეში გამართულ საერთაშორისო ფორუმებზე მიწვეულ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურ ეკლესიად აღარ იხსენიებდნენ. დამცრობილი იყო მისი საჭეთმპყრობელის სრულყოფილი ტიტულატურით მოხსენიებაც. აღნიშნულის გამო, ჯერ კიდევ 1963 წელს ილია მეორემ, როგორც შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, როდოსზე გამართულ მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა შეკრებაზე უკმაყოფილება გამოხატა.

პატრიარქად დადგინების შემდეგ მან გარს შემოიკრიბა ქართველი მეცნიერები, რომლებმაც აღნიშნულის შესახებ უცხოური და ქართული წყაროები მოიძიეს. ამ მასალით უტყუარად დასტურდებოდა, რომ ქართულ ეკლესიას უძველესი დროიდან ჰქონდა ავტოკეფალია მინიჭებული. აღნიშნული მასალა ბერძნულ ენაზე წარედგინა მსოფლიო პატრიარქს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლის შედეგად 1990 წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს პირველმა საგანგებო სიგელით დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოღვაწეობის დროს აღდგა დიდი ხნის მანძილზე გაწყვეტილი ურთიერთობები მართლმადიდებელ ეკლესიებთან. მისი მოწვევით სხვადასხვა დროს საქართველოს ეწვივნენ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების პატრიარქები. თავის მხრივ, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მეგობრულ ვიზიტებს მართავდა სხვადასხვა ქვეყანაში და მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციებსა და შეხვედრებში. პატრიარქმა აგრეთვე აღადგინა ურთიერთობები არამართლმადიდებლურ ეკლესიებთან, მუსულმანებთან და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან. ამ მხრივ საინტერესოა ურთიერთვიზიტები რომის პაპთან, სომხურ ეკლესიასთან, მუსულმან სასულიერო ლიდერებთან და სხვა. აღსანიშნავია, რომ ისინი დიდი პატივით მოიხსენებენ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს. კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის შესახებ აღნიშნავს: „ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია. მას მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისე როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში“.

2016 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტად მყოფმა რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა: „საქართველოში ორმა რამემ გამაოცა. ერთი თავად საქართველოა. ვერც კი წარმოვიდგენდი ამხელა კულტურას, ამხელა რწმენას, ამხელა ქრისტიანობას. ეს მართლაც რომ მორწმუნე ხალხია, უძველესი ქრისტიანული კულტურის ხალხი, ამდენი წამებულის სამშობლო; და აღმოვაჩინე ის, რასაც არ ვიცნობდი – ის ღრმა ფესვები, საიდანაც მომდინარეობს ქართული რწმენა. მეორე საოცრება კი პატრიარქი გახლავთ. ეს ღმერთის კაცია. შემძრა ამ კაცმა. მასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ გული მღელვარებით მევსებოდა და ვგრძნობდი, რომ ღმერთის კაცს შევხვდი. დიახ, სწორედ ღმერთის კაცს“.

საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მსოფლიო აღიარებაა ის ფაქტი, რომ 2022 წლის მაისში პატრიარქის მიერ დაფუძნებულმა თბილისის სამების საკათედრო ტაძრის გუნდმა ვატიკანის სიქსტეს კაპელაში

პირდაპირი ეთერით, მრავალრიცხოვანი დიპლომატებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე ძველი ქართული საეკლესიო საგალობლები და პატრიარქის შექმნილი საგალობლები შეასრულა, ხოლო წმ. პეტრეს ტაძარში გუნდმა იგალობა ილია მეორის „ავე-მარია“ და უძველესი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“.

უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორესთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელს შეიხ ულ ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს. იგი ოჯახთან ერთად ხშირად სტუმრობს პატრიაქს და მას თავის სულიერ მამად მიიჩნევს.

პატრიარქ ილია მეორის კურთხევით ეპარქიებში აშენდა და აღდგა მრავალი ქრისტიანული ტაძარი. მის სახელს უკავშირდება 2004 წელს თბილისის სამების საკათედრო ტაძრის აშენება, რომელსაც უწმიდესმა და უნეტარესმა ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი უწოდა. მისივე კურთხევით მახათას მთაზე დაარსდა სამონასტრო კომპლექსი და 2019 წლის 12 მაისს იკურთხა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი, რომლის მშენებლობის ფონდში თითოეული პირი ყოველთვიურად ნებაყოფილობით რიცხავდა ერთი ლარს. ამ ტაძრის მშენებლობაში სრულიად საქართველო მონაწილეობდა, მათ შორის შემომწირველს შეეძლო, გარდაცვლილი ოჯახის წევრის სახელზეც გაეღო შესაწირავი. პატრიარქმა მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარს ქართველი ხალხის მეორე ავტოპორტრეტი უწოდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ილია მეორის ძალისხმევით 2002 წლის ოქტომბერში ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა საკონსტიტუციო შეთანხმება –კონკორდატი, რომელსაც ეკლესიის მწყემსმთავარი და საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აწერენ ხელს. დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში ხაზგასმულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთებული როლი.

უწმიდესისა და უნეტარესის გაბედულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავთან დაკავშირებით, წმინდა სინოდმა ილია მართლის სახელწოდებით იგი წმინდანად შერაცხა. ამ ნაბიჯის გადადგმით ეკლესიამ აღადგინა ის ტრადიცია,

რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო აღარ არსებობდა და რომლის მიხედვითაც ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის წმინდანად შერაცხვა ხდებოდა. აქედან მოყოლებული წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წმინდანთა დასს შეემატა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ახალი მოწამეები. მათ შორის ისინიც, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი იყვნენ.

პატრიარქის სახელს უკავშირდება საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღის დაწესება. ამის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 2019 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ 12 მაისი, რომელიც აგრეთვე არის წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე, დადგინდეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ და გამოცხადდეს უქმედ.

2005 წლის თებერვალში უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის თავმჯდომარეობით დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას და მეცნიერების განვითარებას. პატრიარქის კურთხევით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებობს რადიო „ივერია“ და ტელემაუწყებლობა „ერთსულოვნება“. საპატრიარქოს გრიფით გამოდის სხვადასხვა სახის პერიოდული გამოცემები და სამეცნიერო ნაშრომები.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა შემოქმედებით ინტელიგენციასთან. ამჟამად საპატრიარქოს ბაზაზე მოქმედებს რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი.

1995 წელს პატრიარქისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით აღდგა ჯერ კიდევ XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათის მეცნიერებათა აკადემია.

პატრიარქის კურთხევით, უძველესი ქართული საეკლესიოსაგალობლებისშესწავლისადაპოპულარიზაციის მიზნით, შექმნილია ქართული საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი, რომლის ბაზაზე მგალობელთა და რეგენტთა კადრების მოსამზადებლად 2007 წელს დაარსდა წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებელი.

პატრიარქი დიდ ყურადღებას აქცევს სასულიერო განათლების საკითხებს. მისი დიდი ძალისხმევით, ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, 1988 წელს, თბილისში გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარია და უმაღლესი სასულიერო და სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია. ასეთივე აკადემია დაარსდა ქუთაისში. ამჟამად სასულიერო სემინარია ქუთაისისა და თბილისის გარდა მოქმედებს ახალციხეში, ცაგერში, ბათუმსა და გრემში.

პატრიარქის დიდი ღვაწლის შედეგად, 2013 წლის დასაწყისში, საერთაშორისო სადისერტაციო საბჭომ, რომელსაც თვით უწმინდესი თავმჯდომარეობდა, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის 10 პროფესორს ერთჯერადად მიანიჭა თეოლოგიის დოქტორის ხარისხი, რის საფუძველზეც შეიქმნა სადისერტაციო საბჭო პატრიარქის თავმჯდომარეობით და გაიხსნა დოქტორანტურა. ამ გადაწყვეტილებით, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საქართველოში ხდება თეოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ეპარქიებში ამოქმედდა სასულიერო სასწავლებელთა ფართო ქსელი. მოზარდი თაობის სულიერების აღზრდას ემსახურება თბილისის წმ. სამების ლავრასთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

გარდა აღნიშნულისა, საპატრიარქოს ბაზაზე მოქმედებს თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თამარ მეფის სახელობის უნივერსტეტი, გალობის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის უნივერსიტეტი, ასეთივე უნივერსიტეტი არსებობს ფოთსა და მთიან აჭარაში – ხიჭაურში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწევა. იგი გატაცებულია ფერწერით; მისი ავტორობით დაიწერა უფლის, ღვთისმშობლის, დავით წინასწარმეტყველის, წმ. ვახტანგ გორგასლის, წმ. თამარ მეფის, წმ. გიორგისა და სხვა ხატები. უწმიდესმა ილია მეორემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საეკლესიო საგალობლების განვითარებაშიც. იგი ავტორია ქართული საგალობლების: „მოდი ჩემთან, უფალო“, „უფალო იესო ქრისტე“, „წმინდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „მიცვალებულთა კვერექსი“, „ჩემი ვედრება“

და სხვა. პატრიარქის საგალობლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კირიელეისონ“ და „ავე-მარია“, რომლებიც შესაბამისი დარგის უცხოელი და ქართველი სპეციალისტების დიდ ყურადღებას იმსახურებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დიდი წლილი შეიტანა უცხოეთში (სირია, პალესტინა, ათონის მთა, შავი მთა და სხვ.) არსებული ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაში. ცნობილია, რომ საზღვარგარეთ არსებული ქართული მემკვიდრეობა სხვადასხვა გარემოებათა გამო ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული და მხოლოდ ფრაგმენტულად ხდებოდა მისი შესწავლა, რადგანაც მასზე ქართველ მეცნიერებს ხელი არ მიუწვდებოდათ.

საზღვარგარეთ არსებული ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის მოძიება-შესწავლა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეოცე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია იმხანად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ტახტზე ახლადაღსაყდრებული ილია მეორის სახელთან. უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეებთან შეხება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჰქონდა, როდესაც იგი ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მუშაობდა საკვალიფიკაციო ნაშრომზე.

საქართველოში დაბრუნებისა და მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ ილია მეორე ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ხშირი სტუმარი იყო. მას საქართველოში ჩამოსული უცხოელები მიჰყავდა ამ უდიდეს წიგნთსაცავში და აცნობდა უძველეს ქართულ ხელნაწერებს. შემორჩენილია 1974 წლით დათარიღებული ფოტო, რომელზეც ჯერ კიდევ ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი) ილია მეორე საბერძნეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულ მაღალ სასულიერო პირებს ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, ცნობილი მკვლევრის, ელენე მეტრეველის დახმარებით აცნობს ძველ ქართულ ხელნაწერებს.

კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების დღიდანვე უწმიდესმა და უნეტარესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთ დაცულ ქართულ ქრისტიანულ მემკვიდრეობას. უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში ვიზიტების დროს, ადგილობრივ საერო თუ სასულიერო

პირთა მიმართ მისი მთავარი თხოვნა იყო, იქ დაცული ქართული მემკვიდრეობის შესწავლა ხელმისაწვდომი გამხდარიყო ქართველ მკვლევართათვის.

მწყემსმთავრად დადგენისთანავე უწმიდესმა და უნეტარესმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ათონის წმინდა მთაზე არსებულ ივირონის ქართულ მონასტერს, რომელშიც კარგა ხანია ქართველი სასულიერო პირები აღარ მოღვაწეობდნენ. საბჭოთა რეჟიმის დროს საქართველოს ეკლესიას ყოველგვარი ურთიერთობა ჰქონდა გაწყვეტილი ათონის წმინდა მთასთან. ურთიერთობის აღდგენის მიზნით, 1978 წლის დასაწყისში, უწმიდესმა და უნეტარესმა წერილობით მიმართა ათონის მთის გუბერნატორსა და ივირონის მონასტრის ბერებს. იმავე წლის აგვისტოს მეორე ნახევარში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოწვევით, საქართველოში ათდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ათონის მთის გუბერნატორი, სალონიკის უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრიოს ცამისი. ამ ვიზიტის შედეგად საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღადგინა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ათონის წმინდა მთასთან და ივირონის მონასტრის ბერძნულ საძმოსთან.

1980 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ათონის ივირონის მონასტრის ათასი წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში. პატრიარქის ძალისხმევის შედეგია, რომ ათონის მთის სიწმინდეთა მოლოცვა ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მრევლისთვის. თავის მხრივ, ათონის მამები ხშირად სტუმრობენ საქართველოს. 1978 წლის ვიზიტის შედეგი იყო, რომ ათონის მთის გუბერნატორ დიმიტრიოს ცამისის შუამდგომლობით ივირონის მონასტრის საბჭო 1979 წლის თებერვალს დადებითად გამოეხმაურა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიმართვას და ნება დართო საქართველოდან ჩასულ ქართველ მკვლევართა ჯგუფს, მეცნიერული შესწავლის მიზნით, მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები მიკროფირებზე გადაეღოთ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშეწყობითა და იმდროინდელ ხელისუფალთა დაფინანსებით, 1980 წლის 27 მარტს ათონის მთის ივირონის მონასტერში დაცული 72 ქართული ხელნაწერის

მიკროფირი საქართველოში იქნა ჩამოტანილი. საქართველოს მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ მიკროფირები საზეიმო ვითარებაში გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აღნიშნული ფაქტის გამო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარმა წერილობით მადლობა გადაუხადა ივირონის მონასტრის საბჭოს, მოგვიანებით კი, 1983 წელს, ათონის მთის მონასტრის ძმობას ავტომანქანა „ნივა“ საჩუქრად გაუგზავნა. უწმიდესისა და უნეტარესის ინიციატივით ათონის მთიდან ჩამოტანილი მიკროფირების საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნეს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1982 წელს ათონის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ „ივირონის“ დაარსების ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი, ძველი ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევრის - ივანე ლოლაშვილის ნაშრომი „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“, რომელშიც გამოქვეყნებულია მე-11 საუკუნისა და მე-12 საუკუნის დასაწყისში უცხოეთში მოღვაწე ქართველი მწერლებისა და ცნობილი მთარგმნელების – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის ავტოგრაფთა ნუსხები. აქვე დაბეჭდილია ეფრემ მცირისა და თეოფილე ხუცესმონაზონის უცნობი პოეტური თხზულებანი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დახმარებითა და ხელშეწყობით საინტერესო წერილობითი წყაროები იქნა გამოვლენილი ვატიკანის არქივებში. მისი უშუალო ჩარევითა და რეკომენდაციით რამდენიმე ქართველ მეცნიერს ნება დართეს, გაცნობოდა ვატიკანში დაცულ ქართულ მასალებს, რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ. მართალია, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული მასალების გამომზეურებას დიდი ამაგი დასდო იმხანად რომში მოღვაწე კათოლიკე მოძღვარმა მიხეილ თამარაშვილმა, მაგრამ მოსაძიებელი ჯერ კიდევ ბევრია. უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის რეკომენდაციითა და მისი უშუალო ხელშეწყობით, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ვატიკანის კონგრეგაციის არქივში მკვლევარმა ზ. გამეზარდაშვილმა გადაიღო მიკროფირები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო

უნუვერსიტეტს გადაეცა. ამ მიკროფირების საფუძველზე დასახელებულმა მკვლევარმა პროფ. გ. ჟორდანიასთან ერთად 1994 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომის პირველი ტომი. ვატიკანის მიერ გამოხატული კეთილი ნების პასუხად უწმიდესმა და უნეტარესმა 1989 წელს მადლობის წერილი გაუგზავნა რომის პაპ იოანე-პავლე მეორესა და ვატიკანის ქრისტიანული ერთობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს პიერ დიუპრეს. საქართველოს პატრიარქის დახმარებით პროფ. ილია ტაბაღუამ ვატიკანისა და ევროპის წიგნთსაცავში არაერთი საინტერესო მასალა მოიძია, რომელთა საფუძველზე მან რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხელშეწყობითა და უშუალო ჩარევით ქართველი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახდა XX საუკუნის 70-იან წლებში სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში შემთხვევით აღმოჩენილი უცნობი ქართული ხელნაწერები. ცნობილია, რომ ქართველი ბერები VI საუკუნიდან მოღვაწეობდნენ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში, სადაც უძველესი დროიდან დაცული იყო ქართული ხელნაწერები, რომელთა მოძიებაში დიდი როლი შეასრულეს ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა. მათ მიერ 1902 წელს სინას მთაზე მოწყობილი ექსპედიციის დროს აღიწერა იმ დროს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები, რომლებიც ბეჭდური სახით 1947 წელს გამოიცა. ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი არ გასცნობიან ქართულ ხელნაწერთა იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სინას მთის მღვდელთმსახურთ ახლად აგებული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ საცავში საიდუმლოდ განუთავსებიათ. 1975 წელს წმინდა ეკატერინეს მონასტერში გაჩენილი ხანძრის შემდეგ, გაწმენდითი სამუშაოების შესრულების დროს, იატაკქვეშ აღმოჩნდა ხანძარს გადარჩენილი 1100 ხელნაწერი, მათ შორის – ქართული ხელნაწერებიც. მონასტრის ბერებმა აღნიშნული აღმოჩენა არ გაახმაურეს იმის შიშით, რომ არ გაექურდათ, ანდა იგი შესაძლებელია შესაბამისი დარგის სპეციალისტებს წაეღოთ. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა სინას მთის აღმოჩენები, თუმცა ადგილობრივი ბერებისა და ევროპელი მკვლევრებისათვის უცნობი იყო, თუ რა ენაზე იყო შესრულებული ეს ხელნაწერები. ზეპირ

ცნობაზე დაყრდნობით ისინი ხელნაწერთა უმრავლესობას სომხურად მიიჩნევდნენ. თუმცა უცხოელ ქართველოლოგთა ნაწილი (მაგ., ი. ასფალგი და სხვ.), რომელთაც ნანახი არ ჰქონდათ ხელნაწერები, ეჭვს გამოთქვამდნენ მათ სომხურ წარმომავლობაზე და საქართველოში ქართველ მეცნიერებს ატყობინებდნენ აღნიშნულის შესახებ. იმდროინდელი საბჭოური რეჟიმის დროს ქართველ მეცნიერებს არ მიეცათ უფლება აქტიურად ჩარეულიყვნენ სინას მთის ახალი აღმოჩენის შესწავლაში. აღნიშნული საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტა დაკავშირებულია საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის სახელთან.

1984 წლის მაისში, სინას მთაზე ვიზიტის დროს, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოინახულა წმინდა ეკატერინეს მონასტერში ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები. მან დაადასტურა, რომ სომხურ ხელნაწერად მიჩნეულ ხელნაწერთა უმეტესობა ქართული იყო. ამ ხელნაწერების გარდა მონასტერში აღმოჩნდა რამდენიმე უძველესი ქართული ხატიც. ამ ვიზიტის დროს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპის და პატრიარქის ნიკოლოზ მეექვსესთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ქართველ მეცნიერებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, ადგილზე გაცნობოდნენ აღმოჩენილ მასალებს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე უწმიდესი და უნეტარესი შეხვდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისადაუმაღლესისასწავლებლებისშესაბამისიდარგის სპეციალისტებს, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავად, საბჭოთა ბიუროკრატიული ბარიერების გამო, საკითხის დროული გადაჭრა საკმაოდ გაჭიანურდა. სირთულეების მიუხედავად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უკან არ დაუხევია. მისი მოწვევით 1987 წლის ივნისში საქართველოს ვიზიტად ეწვია სინა-რაითისა და ფარანის დელეგაცია მთავარეპისკოპოს დამიანეს მეთაურობით. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატიო სტუმრებს დაათვალიერებინა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები, შეახვედრა ქართველ მკვლევრებს. ასეთივე შეხვედრა გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამეცნიერო წრეებთან შეხვედრის დროს საქართველოში სტუმრად მყოფი სინას

მთის დელეგაციის წევრები დარწმუნდნენ, რომ მათთვის მისაღები იყო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც მიზნად ისახავდა სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების მიკროფირების გადაღებასა და მათ მეცნიერულ შესწავლას. ხელშეკრულების მიხედვით, სინას მთის ხელმძღვანელობა ვალდებულებას კისრულობდა, აქტიურად დახმარებოდა წმინდა ეკატერინეს მონასტერში საქართველოდან ჩასულ ქართველ მეცნიერებს. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, სინას მთაზე უნდა გამგზავრებულიყო ქართველ მკვლევართა ჯგუფი, რომელიც ადგილზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში, შეასრულებდნენ მოსამზადებელ სამუშაოებს, შეძლებდნენ ხელნაწერთა პირველად აღწერას. მუშაობაში უნდა ჩართულიყვნენ ბერძენი პალეოგრაფები და წმინდა ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე ბერებიც. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის მიზნით საქართველოს საპატრიარქოსთან უნდა დაარსებულიყო სინას ქართულ სიძველეთა კვლევის ცენტრი. შეთანხმებაში ხაზგასმული იყო, რომ ბერძნული მხარე სინური პრობლემის შემსწავლელ ცენტრს გადასცემდა თავისი ხარჯებით გადაღებულ ქართული ხელნაწერების მიკროფირებს. აგრეთვე ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენაზე უნდა გამოცემულიყო წმინდა ეკატერინეს მონასტერში ახლად აღმოჩენილი ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, რომლიც უხვი ფოტომასალით იქნებოდა ილუსტრირებული. მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, მისი განხორციელება ჩვენს ქვეყანაში 1989-1990 წლებში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების გამო შეუძლებელი გახდა.

1990 წლიდან დღემდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ხელშეწყობით სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლის მიზნით აკადემიკოს ზაზა ალექსიძის ხელმძღვანელობით მოეწყო შვიდი ექსპედიცია. ექსპედიციის დროს მოძიებული მასალები მუშავდებოდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ „სინას ქართულ სიძველეთა კვლევით ცენტრში“. პირველი სამი ექსპედიციის დროს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღწერეს 141 ხელნაწერი და დააფიქსირეს 1 600 ფრაგმენტი. ახლადმიკვლეულ ხელნაწერებში აღმოჩნდა კრებული (დაათარიღეს Sin-50

ლიტერით), რომელიც, მართალია, თავ-ბოლო ნაკლულია, მაგრამ მასში გაერთიანებულია სამი თხზულება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წმინდა ნინოს ცხოვრებით, „საქმენი იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა“ და „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“, რომელიც შედგენილი უნდა იყოს X საუკუნის დამდეგს. თუმცა მასში აღნიშნული ჩანართები ადრინდელი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ზ. ალექსიძემ 2003 წელს სინას მთაზე აღმოჩენილ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიუძღვნა ნაშრომი. მან მოგვცა ამ ნაშრომის კოდიკოლოგიური დახასიათება და იგი შეადარა შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებს. მანვე სინას მთაზე აღმოჩენილ წყაროებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია „სინური ხელნაწერები ასურელ მამათა შესახებ“. იმავე მკვლევარმა 2005 წელს დაბეჭდა Sin-50 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს ისტორიის შესახებ.

სინურ ხელნაწერებს შორის საინტერესოა ზ. ალექსიძის მიერ პალიმფსესტურ ხელნაწერებში მიკვლეული ალბანური ტექსტები. ამ აღმოჩენამდე რამდენიმე ხნის წინ სომხეთში, მატენადარის სიძველეთსაცავში, ალბანურ ანბანს მიაკვლია ცნობილმა მკვლევარმა ილია აბულაძემ, მაგრამ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში დაცულ ამ ანბანზე შესრულებული ტექსტები მეცნიერთათვის პირველი აღმოჩენა იყო. ზემოთ ჩამოთვლილ გამოკვლევათა მცირე ნაწილი ნათლად მეტყველებს, თუ რა დიდი აღმოჩენები განხორციელდა სინას მთაზე არსებულ წმინდა ეკატერინეს მონასტერში ქართველ მკვლევართა მიერ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ფინანსური მხარდაჭერით ქართულ, ბერძნულ და ინგლისურ ენაზე სინას ქართულ სიძველეთა კვლევის ცენტრმა გამოსცა სინური ქართული ხელნაწერების აღწერილობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს ეკლესიის ზრუნვა უცხოეთში დაცული ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ. XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს საპატრიარქოს ბაზაზე დაარსდა სამეცნიერო ცენტრები (ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი და სხვ.), რომლებმაც კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

საინტერესო კვლევები ჩაატარეს საზღვარგარეთ არსებული ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის გამოვლენა-შესწავლისთვის. 2008 წლის ზაფხულში ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ხელმძღვანელი აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი) თანამშრომლებმა ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის გზის დადგენის მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში მოაწყვეს ექსპედიცია. ექსპედიციის წევრებმა საინტერესო მასალები გამოავლინეს, ნაწილი ამ მასალებისა გამოქვეყნდა. ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრმა (ხელმძღვანელი თ. მგალობლიშვილი) საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ლოცვა-კურთხევით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა წმინდა მიწაზე (პალესტინის) ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის გამოსავლენად და შესასწავლად. საინტერესო საქმიანობას ეწევა პატრიარქის კურთხევითა და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით 2009 წელს დაფუძნებული საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია. აღნიშნული კომისიის მიერ თურქეთის რესპუბლიკის ზღვისპირა მხარეში, კერძოდ კი ლაზეთში, რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო. ექსპედიციის შედეგები აისახა გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

2003 წლიდან პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება „ლაზური პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის – ლაზიკის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესწავლასა და პოპულარიზაციას. ამჟამად აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე პროექტი, რომლის შედეგები ხშირად ქვეყნდება სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში.

ბოლო დროს საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით საინტერესო კვლევები ჩატარდა კვიპროსზე ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოვლენისათვის. ქართველი არქეოლოგების მიერ მიკვლეულ იქნა ქართულ წყაროებში მოხსენებული, კვიპროსზე X-XVII საუკუნეებში არსებული ღალიის მონასტერი. 2011 წელს დასრულდა ამ მონასტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც ქართველი და კვიპროსელი სპეციალისტების თანამშრომლობით მიმდინარეობდა. პროექტი განხორციელდა საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კვიპროსის კომუნიკაციების და სამუშაოთა სამინისტროს სიძველეთა დეპარტამენტის მონაწილეობით.

ამჟამად საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებულ საზღვარგარეთულ ეპარქიებზე დაყრდნობით, აქტიურ მუშაობას ეწევა უცხოეთის ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის მოსაძიებლად და შესასწავლად. ბოლო დროს საქართველოს საპატრიარქო სახელმწიფოებრივ დონეზე აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის მთავრობებთან მათ ტერიტორიაზე მძიმე მდგომარეობაში არსებული ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლიდან, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია დიდ გავლენას ახდენს ეკლესიის ცხოვრებაზეც. ამჟამად სახელმწიფოსა და ეკლესიის იურისდიქცია არ ვრცელდება ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაპყრობილია შიდა ქართლის ტერიტორიის ის ნაწილიც, რომელსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა. საომარი ოპერაციების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა იქარსებული ქართული ქრისტიანული ტაძრები. ახალი აგრესიის შედეგად კიდევ უფრო შეიზღუდა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის საზღვრები. ბოლო პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2010 წლის 21 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე დადგინდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად.

სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ეკლესია აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის აღმშენებლობაში. იგი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ერთიანობისა და მშვიდობის შენარჩუნებაში.

მოკლედ, ასეთია უაღრესად ფასეული ის დიდი ღვაწლი, რომელიც თავისი მოღვაწეობის მანძილზე უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ გაწია ეკლესიისა და ქართველი ხალხის წინაშე. პატრიარქმა თავისი განვლილი ცხოვრების გზას „მზიანი ღამე“ უწოდა.

Eldar Bubulashvili

THE MERITS OF THE CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA ILIA II

Summary

The work is dedicated to the 45th anniversary of the consecration, 90th birth anniversary and 65th anniversary of the enthroning as the Catholicos-Patriarch of the leader of the Orthodox Church of Georgia Ilia II. It is noted that during the atheistic Soviet regime, Patriarch Ilia II had to work in difficult circumstances. At the beginning of the patriarch's activity, the church could not conduct its activities without an agreement with the authorities; The number of functioning churches and monasteries was quite reduced; Church revenues were taxed by the government; The number of clergies was limited; Only a few bishops governed the 13 dioceses. The number of parishioners was reduced, there were no liturgical and ecclesiastical literature, etc.

The paper mentions that the revival of the Georgian Church is connected with the name of Catholicos-Patriarch Ilia II. During his activity, the international authority of the Church of Georgia increased significantly. As a result of his merits, on March 4, 1990, the Ecumenical Patriarchate of Constantinople confirmed the historic autocephaly of the Georgian Church with an extraordinary document. In the same period, the number of churches, monasteries and dioceses increased, many Christian temples were built and restored. A theological academy and seminary were founded in Tbilisi and Kutaisi. A wide network of theological schools was launched in the dioceses. The spiritual upbringing of the adolescent generation is served by the center for spiritual and intellectual development of

youth near St Trinity Laura. According to the decision of the Holy Synod, new martyrs self-sacrificed to the homeland and religion were added to the group of saints of the Church of Georgia.

In 2002 constitutional agreement - concordat - was signed between the church and the state. In 2005 an international charity fund was established under the chairmanship of Catholicos-Patriarch of Georgia, the purpose of which is to promote the strengthening of national and state thinking and the development of science. With the Patriarch's blessing, the Patriarchate of Georgia has Radio "Iveria" and TV Broadcasting "Ertsulovneba". Different types of periodicals and scientific papers are published by the Patriarchate.

Catholicos-Patriarch of Georgia established a close relationship with the creative intelligentsia. Currently, several scientific centers operate on the base of the Patriarchate. In 1995, on the initiative of Patriarch and President E. Shevardnadze, the Gelati Academy of Sciences, founded by Davit Agmashenebeli (David the Builder) in the 12th century, was revived.

The following universities function on the basis of the Patriarchate: Tbilisi St Andrew the First-Called Georgian University, St Quenn Tamar University, St Giorgi Mtatsmindeli Higher Educational Institution of Ecclesiastical Chant, a similar university exists in Poti and Khichauri, in mountainous Ajaria.

Catholicos-Patriarch of Georgia, Ilia II, is engaged in a second creative activity. He is carried away by painting - he painted the icons of the Lord, the Mother of God, Prophet David, St. Vakhtang Gorgasli, St. Queen Tamar , St. George and other icons. His Holiness Ilia II also made a great contribution to the development of Georgian church hymns. He is the author of Georgian hymns: "Come to me, Lord," "Lord Jesus Christ," "Holy God," "Our Father," "Prater for the dead," "My supplication" and others. Among the patriarch's hymns, "Kyrie eleison" and "Ave-Maria" are especially noteworthy, which deserve the attention of foreign and Georgian specialists in the respective field.

In the final part of the paper, it is mentioned that the patriarch called his past life path "sunny night".

მარიამ ცაცანაშვილი

ინფორმაცია
გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის N02/65 ბრძანების საფუძველზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია სასულიერო და საერო განათლების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, გამოყენებითი ხელოვნების (მხატვრობა, ფერწერის ოსტატობა, ოქრომჭედლობა) სფეროში ცოდნის გადაცემის მეთოდთა სისტემაა, რომელმაც ჰუმანისტურ პარადიგმაზე დაფუძნებულ „გელათურ აზროვნებას“ ჩაუყარა საფუძველი. ამ სისტემამ ხელი შეუწყო ადრეული რენესანსის იდეოლოგიას და იგი საფუძვლად დაედო საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს.

1106 წელს გელათის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პარალელურად დაფუძნდა გელათის აკადემია, როგორც საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სახელოვნებო ინსტიტუცია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებებიდან, გელათის სიგელებიდან, იოანე პეტრიწის ნაშრომებიდან ჩანს, რომ: დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა სწავლულები არა მარტო საქართველოდან, არამედ უცხოეთიდანაც და მათ სამეცნიერო საქმიანობის სათანადო პირობები შეუქმნა. აკადემია გელათის სამონასტრო

კომპლექსის ნაწილი იყო და მას არა მარტო სასულიერო დანიშნულება ჰქონდა, არამედ სასწავლო-სამეცნიეროცა და გამოყენებითიც. მონასტერში მოწვეული პირები როგორც სულიერი, ისე ხორციელი სათნოებით აღსავსენი ყოფილან. ამას მოწმობს აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ყოვლისა აღმოსავალისა, მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულობისად, სხუად ათინა“ (ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948). აკადემიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, პეტრე გელათელი, იოანე ტარიჭისძე, იოანე ჭიმჭიმელი, პეტრე გელათელი, არსენ ბულმაისიმისძე, ნიკოლოზ გულაბერიძე, იეზეკიელი, ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი და სხვა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციის ელემენტებია:

1. **საგანმანათლებლო საქმიანობა,** რომელიც ეფუძნებოდა სასულიერო განათლებისა და საერო ცოდნის მეთოდს, ანუ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი აზროვნების, მეცნიერული, განმანათლებლური იდეების, საენციკლოპედიო-კომენტატორული საქმიანობის ათვისების სისტემას. სასულიერო და საერო განათლების აუცილებელი კავშირის ტრადიციას ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და ნეოპლატონიკოსის - ამონიოს ერმისის თარგმნის პროცესში ჩაეყარა საფუძველი. ეს ტრადიცია გულისხმობს: ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემას, ტრივიუმის დისციპლინებია: მათემატიკა, ფიზიკა, ღვთისმეტყველება; მათემატიკა თავის მხრივ მოიცავს: ქვეყნისმზომელობას (გეომეტრია), ვარსკვლავთმრიცხველობას (ასტრონომია), მუსიკას და არითმეტიკას. ეს სისტემა კი კვადრიუმის სახელითაა ცნობილი. ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემა ბერძნულ გარემოშიც არსებობდა, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მათი თავისებურებები, ეფრემ მცირეს მიხედვით, „გარემოვლითი სწავლულების“ სახით დამკვიდრდა და მას განათლების 12 დარგი დაემატა: გრამატიკოსობა, ფილოსოფოსობა, რიტორება, მკურნალობა, ქვეყნისმზომელობა, ვარსკვლავთმრიცხველობა, რიცხუთ-

მოქმედება, ბუნებათმეტყველება, ნივთმეტყველება, ხელოვნებათა საქმე, წესი ბრძოლისა. „გარემოვლითი სწავლულება“ გახდა საფუძველი გელათის აკადემიის საგანამანათლებლო ტრადიციისა, რომელიც შემდგომ თბილისისა და თელავის სემინარიებსა და სკოლებში განვითარდა. გელათის აკადემიის საგანმანათლებლო ტრადიციის მთავარი ნომინაციაა: „მეორე იერუსალიმი“ (სარწმუნოებრივი აღზრდა) და „სხვა ათინა“ (საერო განათლება).

2. **პროფესიული განათლება** - მევენახეობა-მეღვინეობა, ლითონის დამუშავება, კერამიკული წარმოება, ფარმაკოლოგია და სხვა პროფესიული მიმართულებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ტრადიციული ოსტატ-შეგირდობის და სახელობო-სამეურნეო სასწავლებლების ფორმირებას მომავალში.

3. **მთარგმნელობითი საქმიანობა** - ელინოფილური ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მიმართულება. გელათის სკოლა „პეტრიწონულ სკოლად“ იხსენიებოდა ბულგარეთის პეტრიწონის მონასტერში იოანე პეტრიწის მოღვაწეობასთან ასოციაციით (კ. კეკელიძე). შეიქმნა ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა გამორჩეული ღირსების თარგმანები. მაგალითად, „გელათური ბიბლიის პატენტები“. აღსანიშნავია იოანე ქსიფილინოსის მეტაფრაზები, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შემონახულა და ქართული თარგმანი ავსებს უდიდეს ხარვეზს სასულიერო მწერლობის ისტორიაში. ითარგმნა მრავალი ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაშრომი: არისტოტელეს, ი. ფლავიოსის, პ. დიადოხოსის, ნ. ემესელის და სხვათა თხზულებანი და შრომები, „დიდი სჯულის კანონი“, ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“; შეიქმნა „გელათური ქორონიკონი“, რომელიც დასახელებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თავის ერთ-ერთ წყაროდ. გელათური ხელნაწერები დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმსა და სხვა მუზეუმებში და საპატიო ადგილს იკავებენ მსოფლიოს ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

მთარგმნელობითი საქმიანობის გელათური წესი ორიგინალურ ტექსტთან ერთად დეტალურ კომენტარებს

გულისხმობდა, რაც თავისთავად ამ საქმიანობის ორიგინალურობაზე მეტყველებს.

ორიგინალურობაზე მეტყველებს ისიც, რომ გელათის სკოლის მოღვაწეების მიერ შეიქმნა ფილოსოფიურ-მეცნიერული ენა, როგორც სისტემა ცნებითი და განმარტებითი თვალსაზრისით ურთიერთდაკავშირებული კატეგორიებისა. გელათის აკადემიის შემთხვევაში ვლინდება სპეციალური ენების წარმოშობის „სოციოლოგიური“ პრობლემა, კერძოდ ის, რომ მეცნიერული ენის ინდივიდუალური შექმნის მიუხედავად, ეს ენა მაინც გარკვეულ ჯგუფში ვრცელდება და მხოლოდ ამის შედეგად მყარდება (ვ. ბოედერი).

გელათის აკადემიასთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ XII-XIII საუკუნეების სომეხ მოღვაწეებს, მთარგმნელებს. ცნობილია დიოფიზიტური აღმსარებლობის ბერის სიმეონ პღინძაჰანეცის მიერ სომხურ ენაზე თარგმნილი პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ და იოანე პეტრიწის განმარტებები. მანვე სომხურად თარგმნა რამდენიმე ტრაქტატი არსენ იყალთოელის „დოგმატიკონიდან“. მეორე სომეხმა მოღვაწემ - მინას მესვეტემ ქართულიდან სომხურად თარგმნა იოანე სინელის „კლემაქსის“ პირველი ოცი თავი, დანარჩენი თავები კი დაასრულა სიმეონ მეჯვარემ. „კლემაქსის“ სომხური თარგმანი მათ შეუსრულებიათ პეტრე გელათელის თარგმანიდან და სხვა.

4. **გამოყენებითი ხელოვნება.** გელათის აკადემიაში არსებობდა ოქრომჭედლობის სკოლა, სადაც იქმნებოდა ხელოვნების იშვიათი ძეგლები. საქართველო სამართლიანად ითვლება ლითონის დამუშავების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ მსოფლიოში. ქართული ოქრომჭედლობა განვითარების ყველა საფეხურზე კანონზომიერად ატარებდა თავისი ეპოქის ნიშნებს, ამავე დროს, მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებებიც, რომლებიც, ერთი მხრივ, განასხვავებდა ქართველთა ნახელავს მათი თანადროული უცხოური ნაწარმისაგან, მეორე მხრივ კი, აკავშირებდა საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ ძეგლებს, როგორც განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. გელათის ოქრომჭედლობის სკოლა საოქრომჭედლო ხელოსნობის ტრადიციული მეთოდების თაობიდან თაობაზე გადაცემისა

და ახალი საიუველირო ტექნიკის დანერგვის ადგილი იყო. ამ მიმართულებით საკმარისია დავასახელოთ XII საუკუნის ნაწარმოები ხახულის ხატი.

5. **ობსერვატორია** - ასტრონომიული, გეოფიზიკური და სხვა დაკვირვებების სპეციალური შენობა. მისი არსებობა დღევანდელი კრიტერიუმებითაც კი მეცნიერების მაღალგანვითარებულობაზე მეტყველებს.

6. **ქსენონი** - სახლი ავადმყოფთათვის, სასნეულოსა და სამკურნალო დანიშნულების ადგილი. ასეთი ადგილის არსებობა აკადემიასთან მხოლოდ სნეულთა და დავრდომილთა თავშესაფარი კი არ იყო, არამედ მას სამედიცინო პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციაზე როდესაც ვსაუბრობთ, ეს არის წინა ეპოქებიდან დავით აღმაშენებლისა და მის შემდგომ ხანაში მემკვიდრეობით გადმოცემული განათლების მეთოდის სამეცნიერო იდეების, აზროვნების წესის, პროფესიული პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია, რომელთა არსებობა და მნიშვნელობა დასტურდება ისტორიული წყაროებით.

გელათის აკადემიის მნიშვნელობა საქართველოს განათლების ისტორიაში უდიდესია, რადგან ეს იყო პირველი სისტემატიზებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების ცენტრი. მანამდე ცოდნის გადაცემა ზეპირმეტყველებით და პრაქტიკული უნარების დაუფლებით მიმდინარეობდა, როგორიც იყო IV საუკუნეში ფაზისში არსებული ცოდნის გადაცემის სისტემა. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ფაზისში ბერძნები ჩამოდიოდნენ ცოდნის მისაღებად. არის იმის ვარაუდიც, რომ ფაზისში გამოკვეთილი იყო სასამართლო მოხელეებისა და იურისტ-ორატორთა მომზადების რიტორიკული სკოლის პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობა, საგანმანათლებლო სისტემა კი მოიცავდა შემდეგ ელემენტებს: გიმნასიონები, კითარისტთა სკოლა, პალესტრა, ეფებია. ფაზისში სწავლების მეთოდებისა და სისტემის საერთაშორისო მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბაკურ დიდის შვილიშვილმა პეტრე იბერმა (ძვ.წ V ს.) ქვეყნის გარეთ, სირიაში, ააშენა ქართველთა მონასტერი და შექმნა სკოლა, რომელმაც ორი

უდიდესი სამონასტრო კომპლექსის დაარსებას მოუმზადა საფუძველი. X საუკუნეში ქვეყნის გარეთ - ათონის ივერთა მონასტერი (საბერძნეთი, ათონის მთა) და პეტრიწონის აკადემია (ბულგარეთი,).

გელათის აკადემიის პერიოდში ჩამოყალიბდა იყალთოს აკადემია. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორის - არსენ იყალთოელის ინიციატივით, იყალთოს აკადემიაში სწავლება ტრივიუმისა და კვადრიუმის სისტემას ეფუძნებოდა, ითარგმნებოდა მნიშვნელოვანი თხზულებები ბერძნულიდან, მრავლდებოდა ხელნაწერები, იქმნებოდა ძვირფასი ნუსხები. სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-მეღვინეობა. მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა „გელათური აზროვნების“ პრინციპი.

გელათის აკადემიამ მე-16 საუკუნემდე იარსება, მაგრამ ტრადიციები შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობაში დანერგილმა ნოვაციებმა, სათანადო ტერმინოლოგიისა და სიტყვაწარმოების ბაზაზე სამეცნიერო-ფილოსოფიური ენის ჩამოყალიბებამ, გარკვეული შეფერხებების მიუხედავად, მაინც შეძლო გზა გაეკაფა ახალი სააზროვნო პროცესებისათვის ქართულ სინამდვილეში და გარკვეული სახით ჩართულიყო შუა საუკუნეების ჰუმანურ-რენესანსული მსოფლმხედველობით გაჯერებულ სულიერ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში 700-მდე ხელნაწერი წიგნია დაცული, ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მათი მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურული წარსულის შესასწავლად, არამედ მეზობელი და მახლობელი ქვეყნების კულტურის ისტორიის შესწავლისათვისაც. აკადემიის არსებობამ საქართველო უფრო მეტად დამოუკიდებელ და განვითარებულ ქვეყნად აქცია.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას ადასტურებს ის, რომ ერთიანი საქართველოს სამეფო–სამთავროებად საბოლოოდ დაშლის

შემდგომაც კი იგი ერთხანს ფეხზე იდგა; იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გელათი გადაკეთდა საეკლესიო დაწესებულებად.

1921 წლიდან 1990 წლამდე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად, საქართველოში მოქმედებდა საბჭოთა განათლების სისტემა, სამეცნიერო სექტორში დაარსდა მეცნიერების მართვის ადმინისტრაციული სისტემა - მეცნიერებათა აკადემია. თუმცა უნდა ითქვას, რომ, იდეის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1970 წელს ტრადიცია გელათის სახალხო აკადემიის ფორმით გაგრძელდა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი და უცხოელი მეცნიერები.

XX საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ვითარებიდან გამომდინარე, ქართველ მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფში დაიბადა აზრი გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღორძინების თაობაზე. ამ იდეის ინიციატორები იყვნენ: ზაზა ალექსიძე, აკაკი ბაქრაძე, კორნელი დანელია, მაგალი თოდუა, ვიტალი კაკაბაძე, ზურაბ კიკნაძე, დამანა მელიქიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თედო უთურგაიძე, მიხეილ ქურდიანი, მზექალა შანიძე, ალექსი ჭინჭარაული, ზურაბ ჭუმბურიძე, როლანდ თოფჩიშვილი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, იულონ გაგოშიძე, არჩილ კოსტავა, ედიშერ ჭელიძე.

1995 წლის 5 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს პატრიარქის ერთობლივი ბრძანებით აღდგა გელათის მეცნიერებათა აკადემია, როგორც ბიბლიოგრაფიული და ქართველოლოგიური კვლევის სამეცნიერო დაწესებულება, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო) კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრი, ხოლო **1995 წლის 25 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის მიერ დამტკიცებულ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემიის პირველი - მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრები.** 1996-2000 წლებში აკადემიამ უცხოელი წევრებიც აირჩია:

იან ბრაუნი (პოლონეთი), იოსტ გიპერტი (გერმანია), ბერნარ უტიე (საფრანგეთი) და სხვა. მომდევნო წლებში აკადემია შეივსო ახალი წარმომადგენლებით: მარიამ ცაცანაშვილი, ტარიელ ჭანტურია, თამაზ წივწივაძე, ზაზა სხირტლაძე, ლევან ბრეგვაძე, ჯამბულ ბიწაძე, გურამ კაციტაძე, მაია რაფავა, დეკანოზი ბიძინა გუნია, ელდარ ბუბულაშვილი, ანა ხარანაული, მერაბ კეზევაძე, გიორგი მჭედლიძე. აღდგენილი აკადემიის პრეზიდენტები იყვნენ მაგალი თოდუა და მიხეილ ქურდიანი. ამჟამად კი აკადემიის პრეზიდენტია მეუფე იოანე – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი.

გელათის მეცნიერებათა აკადემიის მემკვიდრეობა, როგორც ქართული კულტურისა და ხელოვნების ინტელექტუალურ-შემოქმედებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, კვლავაც შესწავლის საგანს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ გელათის აკადემიის ტრადიციების გაგრძელება განხორციელდა მთარგმნელობითი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნის გადაცემით. შესაბამისად, გელათის აკადემიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დღესაც საერო და სასულიერო მეცნიერების კვლევითი და მთარგმნელობითი ხაზია. აკადემიის საქმიანობის განმსაზღვრელი მიმართულებები კი შემდეგია: ბიბლიოგრაფია, თეოლოგია, ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, კრეაციონიზმი, ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, დემოგრაფია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, კულტუროლოგია, ეკოლოგია, მედიცინა, ბიოეთიკა, ეკონომიკა, სამართალი.

გელათის აკადემიის ეგიდით იმართება ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები გელათსა და ქუთაისში, რომლის მიზანია ქართველოლოგიური კვლევების უახლესი მიღწევების წარმოჩენა, ინფორმაციის ურთიერთგაზიარება და შეფასება. კონფერენციის ფარგლებში ახალგაზრდა მკვლევრებისთვის თემატური სემინარებიც იმართება, სადაც ჩართულები არიან მაგისტრანტები, დოქტორანტები და პოსტდოქტორანტები. ახალგაზრდა მკვლევრები საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან ეცნობიან და ეუფლებიან საარქივო პირველწყაროებთან

მუშაობის ტექნოლოგიურ მეთოდებს და მეცნიერულ მიმოქცევაში მათი შემოტანის სპეციფიკას, ძველი ქართული თარგმანების მეთოდოლოგიას, დემოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგებს, საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური ძეგლების შესწავლის მდგომარეობას, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივ ასპექტებს. ამ თვალსაზრისით აკადემია წარმატებით აგრძელებს გელათის აკადემიის სასწავლო-საგან-მანათლებლო ტრადიციებს.

კვლევის მეთოდებისა და ცოდნის გადაცემის მიზნით სხვადასხვა დროს ჩატარდა: სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი გელათის აკადემიის დაარსების 900 წლისთავისადმი (ქუთაისი, გელათი, 2006 წლის 16–17 ივნისი); „გელათი-2007", ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენცია - გლობალიზაცია და თანამედ-როვე ეპოქა (2008); „ახალი მსოფლიო და ჩვენ" (2010),

საყურადღებოა გელათის აკადემიის პერიოდული გამოცემებიც:

1. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიური შრომები (რედაქტორი: მეუფე იოანე გამრეკელი, რედაქტორის მოადგილე ზაზა სხირტლაძე; 2013-2021 წლებში გამოცემულია შვიდი ტომი);

2. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი" (დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი მაგალი თოდუა. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ მიხეილ ქურდიანი და ლევან ბრეგაძე. ამჟამად კი რედაქტორია ავთანდილ ნიკოლეიშვილი).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გელათის მეცნიერებათა აკადემიას შორის 2019 წლის 11 თებერვალს გაფორმდა საპროექტო ხელშეკრულება: „ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის ინოვაციური ეკოსისტემის სრულყოფისათვის - აკადემიის კვლევითი ტრადიციების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა და მისი განახლება". პროექტის ფარგლებში განხორციელდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის შენობის რეაბილიტაცია ქუთაისში (იური-დიული მისამართი: ქუთაისი, დვალიშვილის ქ. №7), სადაც ლექციები ტარდება გელათის სასულიერო

აკადემიის სტუდენტებისთვის. პროექტის ფარგლებში ასევე დაფინანსდა ქართველოლოგიური კვლევები და ექსპედიციები - საქართველოსა და უცხოეთის არქივებში დაცული ჩვენი ქვეყნის შესახებ არსებული წყაროების, ქართული ხელნაწერების, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების გამოვლენის მიზნით.

ცალკე უნდა აღინიშნოს საკვირაო სკოლების დატვირთვაც, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ცოდნის გადაცემის პროცესი. ამ სკოლებს საფუძველი ჩაუყარა აღდგენილი გელათის აკადემიის პირველმა პრეზიდენტმა მაგალი თოდუამ. საკვირაო სკოლების მისია ამ ეტაპზე არის: მთარგმნელობითი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მეთოდების შესახებ ცოდნის გადაცემა, გლობალიზაციის პირობებში საერო და სასულიერო მეცნიერებათა ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა და გელათის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გადაცემა. თემატიკის მიხედვით საკვირაო სკოლების მსმენელები არიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები; სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები. საკვირაო სკოლას ყოველწლიურად 70-დან 120 მსმენელი ჰყავს.

საკვირაო სკოლის ნაირსახეობას წარმოადგენს „ფუტკრის პრინციპი“, რომელიც გულისხმობს გელათის მეცნიერებათა აკადემიის კვლევებში დოქტორანტთა ჩართვას. კვლევის საერთო შედეგების მოსმენა ხდება გელათის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციებზე, რომლებიც ყოველწლიურად 21-22 სექტემბერს იმართება ქუთაისში, გელათის სამონასტრო კომპლექსის აკადემიის დარბაზში. „ფუტკრის პრინციპით“ უკვე ისარგებლა 15-ზე მეტმა დოქტორანტმა დამანა მელიქიშვილის, ანა ხარანაულის, ბიძინა გუნიასა და მარიამ ცაცანაშვილის ხელმძღვანელობით.

სხვადასხვა წლებში განხორციელებული საკვირაო სკოლებია:

1. მაგალი თოდუასი - მთარგმნელობითი საქმიანობის გელათური წესი (ქუთაისი, 1997-2008 წწ.);

2. მიხეილ ქურდიანისა - გლობალიზაცია და თანამედროვეობა, სასულიერო და საერო განათლების აუცილებელი კავშირის ტრადიცია.

3.. დამანა მელიქიშვილისა - გელათის სალიტერატურო სკოლა და ქართული ფილოსოფიური ენა (ქუთაისი, 2011-2019 წწ.);

4. დეკანოზ ბიძინა გუნიასი - მეფსალმუნეობა (მართლმადიდებელი ღვთისმსახურების ადრეული და თანამედროვე პრაქტიკა (ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, სოლოლაკის ამაღლების სახელობის ეკლესია, გლდანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, საბურთალოს ბულაჩაურის ქუჩა 161 სკოლის ეზო წმ, გიორგის სახელობის ეკლესია, 2012 წლიდან - დღემდე);

5. მაია რაფავასი - გელათური ხელნაწერები (ქუთაისი, 2018-2019 წწ.);

6. ანა ხარანაულისა - ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ქუთაისი, 2021-2022 წწ.);

7. მერაბ კეზევაძისა - ისტორია და თანამედროვეობა (კვლევითი პრაქტიკა; ქუთაისი, 2021-2022 წწ.);

8. მარიამ ცაცანაშვილისა - სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება (სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრი წმ. ელიას მთა, სამების ტაძარი, პირველი სართული, 2006-2011 წწ.);

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის დებულებათა შესაბამისად, წარმოადგენს საზოგადოებრივ და გარესამყაროსთან დაკავშირებულ გამოცდილებას, რომლის თავდაპირველი ფუნქცია იყო სასულიერო-საერო განათლება, ტრივიუმისა და კვადრიუმის, ასტრონომიული, გეოფიზიკური და სხვა დაკვირვებებისა თუ გამოყენებითი ხელოვნების (მხატვრობა, ფერწერის ოსტატობა, ოქრომჭედლური ხელოვნება) სფეროში ცოდნის გადაცემა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; ობსერვატორიული კვლევები; სამედიცინო პრაქტიკა (ქსენონი), ხოლო ამჟამინდელი ფუნქციაა სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა.

Mariam Tsatsanashvili

INFORMATION

გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის N02/65 ბრძანების საფუძველზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

The tradition of the Academy of Sciences of Gelati, based on the order of the General Director of the Georgian Cultural Heritage Protection Agency N02/65 of December 30, 2022, was granted the status of an intangible cultural heritage monument.

The tradition of the Gelati Academy of Sciences is a system of knowledge transfer methods in the field of religious- annotation

The tradition of the Academy of Sciences of Gelati, based on the order of the General Director of the Georgian Cultural Heritage Protection Agency N02/65 of December 30, 2022, was granted the status of an intangible cultural heritage monument.

The tradition of the Gelati Academy of Sciences is a system of knowledge transfer methods in the field of religious-secular education, scientific-research ideas, professional practice (painting, goldsmithing), which contributed to the ideology of the early Renaissance in the 12th-13th centuries. The Gelati Academy existed until the 16th century, but the traditions continued into the following centuries. On April 5, 1995, by the joint order of the Head of State of Georgia and the Patriarch of Georgia, the Academy of Sciences of Gelati was restored as a scientific institution for bibliographic and Georgian research, a theological and scientific (humanitarian and natural science) research and educational center.secular education, scientific-research ideas, professional practice (painting, goldsmithing), which contributed to the ideology of the early Renaissance in the 12th-13th centuries. The Gelati Academy existed until the 16th century, but the traditions continued into the following centuries. On April 5, 1995, by the joint order of the Head of State of Georgia and the Patriarch of Georgia, the Academy of Sciences of Gelati was restored as a scientific institution for bibliographic and Georgian research, a theological and scientific (humanitarian and natural science) research and educational center.

გოჩა კუჭუხიძე

რენესანსის საწყისებთან
(წერილი მეორე)

წინამდებარე სტატიის პირველ ნაწილში მკვდრეთით ადამიანის დაცემის ქრისტიანული გაგების შესახებ იყო საუბარი (იხ. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, №1-4, 2022). ქრისტიანობის საზრისით, მამასთან უკვდავებაში დასაბრუნებლად იესო ქრისტეს მცნებათა გაზიარება, მისი მიბაძვა, ქრისტეს საშუალებით სწორი ცნობიერების ჩამოყალიბება არის აუცილებელი.

სტატიის ზემოხსენებულ პირველ ნაწილში ითქვა, რომ მკვდრეთით აღმდგარი იესოს სხეული „გასულიერებულია“. თეოლოგიური საზრისით, სამყარო დუალისტურად არაა შექმნილი, ეს არის ერთი მთლიანობა, რომელსაც სახე აქვს შეცვლილი. მცდარმა ცნობიერებამ შეცვალა ადამიანის არსებაც, **მოკვდავ სხეულში მცხოვრებად წარმოუდგენია ადამიანს თავი და მართლა ასეთი გამხდარა;** კვანტურ ფიზიკაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, მატერია ამა თუ იმ სახის იდეათა გამოსხივების, ვიბრაციის შედეგია და იგი ერთგვარი „სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი სულია“. ეს შეხედულება მთლიანად ესადაგება იმ თეოლოგიურ საზრისს, რომლის შესახებაც პირველ წერილში ვისაუბრეთ და, რომლის მიხედვით, ფიზიკური სხეული ეს არის გამყარებული ფორმა სულისა, რაც ადამიანებმა ცნობიერების არასწორი განვითარების შედეგად მიიღეს; არასწორი ცნობიერების შედეგად ერთგვარ „მყარ მასად“ არის ქცეული სულის ფორმა. ღმერთთან მოწყვეტილ ადამიანთან ამ ფიზიკურ ქვეყანაშიც მოვიდა ღმერთი და ადამიანებს

ამიერიდან ისევ მიეცათ სწორად განვითარების საშუალება, – მათ შეუძლიათ უყურონ მას, ვის ხატადაც არიან შექმნილნი, მიემსგავსონ თავიანთ უფალს, მიიღონ მისი მცნებები და ასე, ნელ-ნელა, დაიწყონ არასწორი ცნობიერების შედეგებისგან გათავისუფლება და ადამიანისათვის ბუნებრივი მდგომარეობის დაბრუნება (მედიცინის ენას მივმართოთ: ღეროვანი უჯრედების საშუალებით შეიძლება ახალი ორგანოები აღმოცენდეს; არსებობს შეხედულება, რომ ღეროვან უჯრედებზე ცნობიერება ზემოქმედებს და, ამდენად, ამ ცნობიერებას შეუძლია, ადამიანის სხეული ისევ გაასულიეროს). ქვეყნიერებაზე მოვიდა ღმერთი და მოციქულებმა სუფთა გულით იცნეს იგი, იგრძნეს, რომ იგი იყო მათ წინაშე, ადამს და ევას რომ ეცხადებოდა და მათთვის ირგვლივ სამყაროც ნათელით აივსო ალბათ. ღვთაებრივ შუქს დაინახავდნენ ამ მიწაზე. როცა სულიერად მაღლდება ადამიანი, როცა ამაღლებული ადამიანის თვალით უყურებს და ზოგჯერ პოეტურად აცოცხლებს ფიზიკურ სამყაროს (ვთქვათ, თუ მეტაფორულად ამბობს, რომ მიწა მზეს შეჰხარის და მზე უღიმის მას), მაშინ გაცოცხლებაში ეხმარება ამ სამყაროს. ადამიანი რომ უკვდავია სინამდვილეში, ამას უპირველესად იესო ქრისტე ახსენებს მას, აღდგომის შემდეგ ხალხს მისი მომავალი სახით ენახვება ქრისტე, ისეთივე უკვდავი უნდა გახდეს ადამიანი, როგორიც იესოა; მცნებების დაცვით, **რელიგიიდან მიღებული მორალით უნდა ამაღლდეს სულიერად და დაიბრუნოს ბუნებრივი მდგომარეობა;** საკუთარი „მე“ უნდა აღიდგინოს, უნდა გაიღვიძოს, ღმერთთან უნდა დაბრუნდეს ადამიანი, რომელიც იმ მსახიობს ჰგავს, რომელიც ისე შეჭრილა როლში, რომ უჭირს იქიდან გამოსვლა; მოკვდავის როლშია ადამიანი ისე ღრმად შესული, რომ ნამდვილი ვინაობა დავიწყებია თავისი; უნდა ამაღლდეს სულიერად, შეიცვალოს შინაგანად და მაშინ დაიწყებს მოკვდავის როლიდან გამოსვლას, საკუთარი თავის გახსენებას, ნელ-ნელა იგრძნობს, რომ სრულიად დასაჯერებელია უკვდავება (ის, რაც დღეს ზღაპრად ეჩვენება, ხვალ რეალურ შესაძლებლობად წარმოდგება), სიყვარულით სავსეობა ღმერთის შვილად სულ უფრო მეტად შეაგრძნობინებს თავს. „არა არს ღმერთი მკუდართა“, „ყოველნივე ცხოველ არიან წინაშე მისსა“, ანუ

იესო გვეუბნება, რომ ცოცხლები ვართ ყველანი, – ამქვეყნად მყოფნიცა და „მკვდარნიც“, ეს არის ჭეშმარიტება, იესოში ჩანს ადამიანის ჭეშმარიტი სახე (უფლის სიტყვებია: – „მე ვარ ჭეშმარიტება“).

სულიერი განწმედის წყალობით უფრო და უფრო გაიცნობიერებს ადამიანი ჭეშმარიტებას, გაიცნობიერებს, რომ უკვდავი მამა ღმერთის უკვდავი შვილია, შინაგანად ისე შეცვლის სულიერი სიმაღლე და ჭეშმარიტების მთელი არსებით შეგრძნება, რომ შეიცვლება და იესოსავით აღდგება ისიც, საჭიროა, რომ ხშირად შეახსენოს თავს: „მე სინამდვილეში უკვდავი სული ვარ და უნდა გასულიერდეს ეს სხეულიც“; იოანეს სახარების თანახმად, მკვდრეთით აღმდგარი იესო ამქვეყნად მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობს, მშვიდობას უსურვებს მათ, ქვეყანაზე იარება, საჭმელსაც ჭამს და შემდეგ კი მამასთან მაღლდება, ანუ, ქრისტიანული თეოლოგიით, ეს, შესაძლოა, იმას ნიშნავდეს, რომ იმ დროს, როცა აღდგება ადამიანი, ქვეყანა ბოლომდე ჯერაც არ შეიცვლება, თუმც ადამიანს უკვე დაბრუნებული ექნება ბუნებრივი სახე და მამასთან ამაღლებაც შეეძლება; „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“ (ი. 12: 2), „ნუ გეშინინ მცირეს მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან მოცემად თქუენდა სასუფეველი“ (ლ. 12: 32), – ამბობს იესო; სახარებისეული საზრისით, „მამისეულ სახლში“ ბევრია ადგილი და ადამიანთა ნაწილს ზეციურ სასუფეველში შეეძლება ასვლა და ქვეყანაზეც იცხოვრებს, ცოდვათაგან განუწმენდელთა სამყოფელში კი „ღრჭენაა კბილთა“ (მ. 25: 30); ძველი აღთქმის თანახმად, ღმერთმა „არა ცუდად შექმნა“ „ქუეყანაჲ“, „არამედ სამკჳდრებელად“ (ესაია 45: 18), ბიბლიისეული სიტყვებით, „წრფელთა დაიმკჳდრონ ქუეყანაჲ“ (იგ., 2: 21); მამათა სწავლებით, აღდგომის შემდეგ ცოდვილთ პირუტყვის სახე მიეცემათ, აქ იმაზე ჩანს საუბარი, რომ ადამიანის ყოველი ცოდვა და არაადამიანური ვნება წარმოჩნდება გარეგნობაში, შინაგან ბუნებას გამოაჩენს პირუტყვული ვნება; თუ აზროვნება არ გამოისწორა, აღდგომის შემდეგ დაიტანჯება ადამიანი შერჩენილი ცოდვებითა და მარადისობის შიშით.

ამქვეყნად მყოფი ადამიანი მცნებების გულწრფელად დაცვისა და უფლის მიბაძვის წყალობით სულიერად მაღლდება, ცნობიერება ეცვლება, დროისა და სივრცის მიღმა

ხედვასაც სწავლობს (დროისა და სივრცის მიღმა ხედვა შესაძლოა დიდმა სიმშვიდემაც დააწყებინოს მას), იმდენად უძლიერდება სული, რომ ოდესმე მთლიანად გარდაექმნება არსება, გაუსულიერდება არსების ის ნაწილი, რომელსაც მყარი სახე აქვს მიღებული და სხეული ჰქვია და რომელიც ფაქტიურად თავისებური „სულია“; სახარებისეული საზრისის თანახმად, იმქვეყნიურ მაღალ წიაღებში მყოფი წმიდანები იმდენად არიან გაძლიერებულნი, რომ მალე შემძლენი გახდებიან, ადამიანისათვის ბუნებრივი მდგომარეობა დაიბრუნონ, ანუ „სულიერი სხეული“ მიიღონ, იმ მდგომარეობას დაიბრუნებენ არასაგნობრივ წიაღში მყოფი სულები, როცა მხოლოდ ხასიათები კი აღარ იქნება წარმოჩენილი მათი, არამედ სულის ყველა ნიჭი და უნარი განსახოვანდება; ქრისტოლოგიური საზრისით, ღვთის სამყაროში არის მართალთა წიაღები, ღვთის სიახლოვე, ჭეშმარიტებით ღრმად ავსება მათაც აღადგენს და ფიზიკურ სამყაროში მყოფ სულებსაც მისცემს აღდგომის ძალს; ყველას აღადგენს ჭეშმარიტების გაცნობიერება, დაბალ სულიერ წიაღებში მყოფნიც აღდგებიან ქრისტიანული სწავლების თანახმად, რომც არ უნდოდეთ, მაინც მოხდება ეს, რადგან ადამიანებთან დაკავშირებული ქრისტეს აღდგომისეული ძალა ყველას გარდაქმნის და ადამიანი ერთბაშად მოექცევა სხვა მდგომარეობაში; როცა აღდგომას ულოცავს ადამიანი სულეთში მყოფს, როცა იცნობიერებს იმქვეყნად მყოფი, რომ ღვთის წინაშე „ყოველნი ცხოველ არიან“, თვითონაც ივსება ჭეშმარიტებით და უახლოვდება იმ მდგომარეობას, რაც იესო ქრისტემ აღდგომის შემდეგ მიიღო; თუ ფიზიკურ წიაღში მცხოვრებს, ვთქვათ, რომელსამე დიდ წმიდანს, შეუძლია, რომ, ვიტყვით ასე, სულეთში მყოფი შეიგრძნოს, დაინახავს, როგორ ხარობს იგი, როცა იცნობიერებს, რომ ცოცხალია და მომავალში აღარაფერი დააცილებს აქ მყოფებთან; როცა ჯვარზე სიკვდილის წინ წარმოთქვა იესომ: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად დამიტევე მე“, ეს სიტყვები ალბათ ჯოჯოხეთში დანთქმულ სულებსაც ესმათ და იმედი გაჩნდა იმ წიაღებში, რომ მხსნელი მიდიოდა მათთან, – ის, ვინც ამ სიტყვებით იქ დატანჯულ ადამიანთა სათქმელს ამბობდა და მალე ჯოჯოხეთიდან კვლავ სიცოცხლეში დაბრუნების გზას დაუსახავდა; ალბათ ისიც გაიგონეს,

რომ უფალი ყველგან სუფევს, იონა წინასწარმეტყველივით გაიცნობიერეს, რომ არ არსებობს სამყაროში ადგილი, სადაც ღმერთი არაა და მამისეული ნათელი არ ნათობს; შეიცნეს, რომ დემონი ის არის, ვისაც, ფიგურალურად თუ ვიტყვით, თვალები დახუჭული აქვს, ვინც ასე ცდილობს, რომ ფანტაზიის საშუალებით „უღვთო სამყარო“ შექმნას, ცნობიერების დამახინჯების მეშვეობით ესწრაფვის, რომ მასში მოაქციოს ადამიანები და ამ ყოველივეს გაცნობიერების შემდეგ იქ მყოფ სულებს ჯოჯოხეთისგან გათავისუფლების საშუალება მიეცათ; მასში მყოფნი ხედავენ, რომ უფალმა, რომელმაც ფიზიკურ ქვეყანაში განსხეულებისას მიიღო ადამიანის მოკვდავი, ჯვარცმის შემდეგ კი – მკვდარი ბუნება ადამიანისა, ჭეშმარიტ მდგომარეობას დაუბრუნა ეს ბუნება და მისი შემხედვარე სულებიც უფლის მიღებისა და ჭეშმარიტების შეცნობის წყალობით ჯერ ჯოჯოხეთის მეუფეებისაგან უნდა გათავისუფლდნენ და შემდეგ კი უნდა აღდგნენ, ფიზიკურ ქვეყანაში მყოფ ადამიანებთან ერთად უნდა დაუბრუნდნენ სიცოცხლეს. აღდგომის მილოცვის დროს ფიზიკურ სამყაროში მყოფებმა ის უნდა ახარონ იქ მყოფთ, რომ ქრისტე აღდგა და ადამიანიც აღდგება, რომ გაიხარებენ ოდესმე აქ მყოფნიც და იმ სოფლისანიც; არაამქვეყნიურ წიაღებს ზოგჯერ პოეტებიც გრძნობენ, დიდი, ძალიან მაღალსულიერი პოეტები, – ისინი, ვინც შინაგანად ღვთაებრივი მისიით მოსულებად აღიქვამენ თავს; როგორც ამ საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ წერილში, ამჯერადაც ვაჟა-ფშაველა გავიხსენოთ, ვნახოთ, როგორ ძალუძს, რომ ზეციურ სიმაღლეებს ეწვიოს ხოლმე ფიქრით; ლექსში – „მთას ვიყავ“ ისეთი გულწრფელი სიყვარულით შეჰხარის ზეცას, ისე შორს არის მისგან თამაშის განწყობილება, რომ გჯერა, მართლა გრძნობს ამ სიმაღლეებში ყოფნისას ღმერთს, მართლა „ელაპარაკება მას“; მრავალი სავანეა ღვთის სამყაროში და ერთ-ერთ ძალიან მაღალ წიაღამდე ამაღლებულ სულს ვხედავთ ამ ლექსის კითხვის დროს. თუ ვაჟასთან ერთად ავალთ მთაზე სულიერად, ვიგრძნობთ ამ სიმაღლეებს, სულიერ ზეცაში მყოფებად აღვიქვამთ თავს, ვიგრძნობთ, რომ აქ ახლოს, ცეცხლოვანი ანგელოზების შუქი იგრძნობა; მზესაც და მთვარესაც აქვე დავინახავთ, აციმციმებულ ვარსკვლავებს;

ცათა სასუფეველთან არის ამ დროს ვაჟა ახლოს, ღმერთთანაა მიახლებული, იმდენად მაღლაა, რომ შემდეგ, ხილულის გახსენებისას, მრავალსიტყვაობასაც ვეღარ გაბედავს და ძალიან მოკლედ, ანგელოზური თუ ბავშვური სიწრფელით, ამოთქვამს: „ვლაპარაკობდი ღმერთთანა“... როცა ლექსის კითხვის დროს მასთან ერთად ვართ სულიერ საუფლოში, ვგრძნობთ, რომ ის წიაღიც მოჩანს იქით, წუთისოფელი რომ ჰქვია, ის წარმავალი წიაღი, რომელშიც ღვთის მრავალი შვილი დამკვიდრებულა; თითქოს არ უნდა იქით გაბრუნება ვაჟას, აქ, ცათა სასუფეველთან ახლოს, ანგელოზებთან, ამ მზესთან და მთვარესთან სწადია თითქოს დარჩენა, მაგრამ ვერ ტოვებს იმ ქვეყანას, იქ დარჩენილ დებსა და ძმებს, ღვთის სიტყვა უნდა მიუტანოს მათ და ბრუნდება, ეშვება იქით; თუ წუთისოფლის პოზიციებიდან გავხედავთ, დავინახავთ, რომ სინას მთიდან წამოსულ მოსეს მოჰგავს აქეთ მომავალი ვაჟა; მოდის, თან იცის, რომ მტრობას დაუწყებენ აქაურნი და ამ სიტყვებს იმორებს: „რად მოვალ, თავქვე რად მოვალ, / ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?“ უჭირს, მაგრამ მაინც მოდის, რადგან ღვთის კაცია და ვერ დატოვებს თავისიანებს.

ბიბლიისეული მსოფლმხედველობის ღრმად შეთვისების შემდეგ მამის სახლისეული მრავალი საუფლო, ცათა იერარქიები შეიძლება წარმოუდგეს მორწმუნის მზერას, ის წიაღი, ის სამოთხე წარმოესახოს, რომელშიც ღმერთი ეცხადებოდა ადამიანებს და რომელსაც თავადაც ზეცა ედგა ზემოდან, – ზეცა, რომლიდანაც შემოქმედისეული უკიდეგანო ნათელი გამოსჭვიოდა და რომლისკენაც იქნებ კრძალვით იმზირებოდნენ პირველი ადამიანები (მიწიდან ზეცამდე აღმავალ კიბეს რომ ხატავს ზოგჯერ მხატვარი, იქნებ შინაგანად ის ზეცა ეოცნებება, სამოთხეში მყოფ ადამიანთ რომ ედგათ თავთით); მრავალი წიაღი მოიაზრება ქრისტიანის წარმოდგენით მამის სახლში, ის არასაგნობრივი წიაღები ეგულებათ წმიდა მამებს, რომლებშიც სხეულს მოშორებული სულები მკვიდრობენ. წუთისოფლისაგან განდგომით სულიერად უკვე ზიარებიან ისინი სულიერ საუფლოებს, ფაქტობრივად სიკვდილის შეცნობის გზაც აქვს ბევრ მათგანს განვლილი, სულიერ სამყაროებსაც ხედავენ და იქაურ მკვიდრთაც...

ადამიანს, არა მხოლოდ „ოფიციალურ“ ქრისტიანს, სულ უნდა ახსოვდეს მკვდრეთით აღმდგარი იესო, უნდა იცოდეს, რომ უკვდავებაა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და უნდა ესწრაფოდეს მას (იესო, როგორც უკვდავი კაცი, ყველა რელიგიის ადამიანისათვის არის მისაღები), ღვთისმიერი ცხოვრების წესების დაცვითა და საკუთარი თავისთვის იმის შეხსენებით, რომ **სინამდვილეში უკვდავია,** ნელ-ნელა დაიწყებს ადამიანი ბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლას, **მცნებების დაცვა „მოკვდავის როლიდან“ გამოსვლასა და საკუთარ თავის გახსენებაში დაეხმარება,** შესაძლოა, ერთბაშად ვერ გახდეს უკვდავი, შინაგანი გარდაქმნა და ცვლილება ნელ-ნელა მოხდება, მაგრამ ღვთის ხელი მუდამ იქნება მასთან.

რენესანსის ესთეტიკისათვის უმთავრესი ის არის, რომ პიროვნებას მკაფიოდ აჩენს იგი (ლოსევი 1978)[1]. ერთ-ერთი უმთავრესი ისიც გახლავთ, რომ, შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფისგან განსხვავებით, ფიზიკური მშვენიერების ხატვას არ გაურბის ამ დროის შემოქმედი; რენესანსის მხატვარს შეუძლია, სულიერი თვისებები დაინახოს სხეულში, გარეგნობაში და თამამად ხატოს ადამიანის სხეულებრივი სილამაზე, იგი, შუა საუკუნეების ერთ-ერთი ბერისაგან განსხვავებით, არ იტყვის: „მე მრცხვენია, რომ ჩემი სული სხეულში ცხოვრობს“; ლეონარდო და ვინჩისა თუ რაფაელ სანტის მხატვრობაში ფაქტობრივად ჩანს, რომ სხეულებრივ მშვენიერებას გარყვნილების ელფერი არ ადევს და ამგვარ მხატვრებში ახალი შინაგანი მსოფლმხედველობის არსებობაზე მიანიშნებს ეს ყოველივე, ჩვენ წინაშეა **ფაქტი იმისა,** რომ ამ დროს უკვე **საკმაოდ არის ბევრი ადამიანი სულიერად ამაღლებული,** ის სულიერი სიმაღლეები მოჩანს ნახატებში, რომელზეც ისეთ ფსიქიკურ განწყობილებას, ისეთ სიყვარულს აჭყავს ადამიანი, მტრის სიყვარულსაც რომ გულისხმობს; ჩანს, ამ ეპოქის არაერთი შემოქმედი სულიერების უკვე ძალიან მაღალი გადასახედიდან გაჰყურებს სამყაროს. ეს იმ დროის სიმაღლეებია, როცა **ზოგიერთ** ადამიანს, რენესანსულ ცნობიერებასთან ახლოს მყოფს, უკვე შეუძლია თქვას, რომ ვეღარ იმონებს ხორცი-ელება და რომ სულიერი სასუფეველია მისი საოცნებო სამყარო, ღმერთს აჭყურებს ასეთი სული, მამასთან მაღალ

სულიერ წიაღებში დაბრუნებაზე ოცნებობს და მაშინ ერთი რამ ხდება მნიშვნელოვანი, – ის, რაც რენესანსული შემოქმედების **ერთ-ერთი** საფუძველი გვგონია, – ასეთ სიმაღლეებამდე ზეაღსული იმ დროზე იწყებს ოცნებას, როცა სული და სხეული არ ჰყოფდა ადამიანს, როცა სიკვდილი ფიზიკურ და სულიერ სამყაროებში მცხოვრებლებად არ აცალკევებდა ადამიანებს, როცა სხეულებრივად მოკვდავი არ იყო ადამიანი და სამოთხეში თავის შემოქმედთან ცხოვრობდა, ადამისა და ევას მდგომარეობა ახსენდება უდიდეს სულიერ სიმაღლეებამდე ზეაღსულს, რომელსაც **ასკეტურად მცხოვრებთა მოღვაწეობის შედეგადაც აქვს** ეს განწყობილება მიღებული და რომელსაც **შინაგანად ემშობლიურება ამგვარი სიმაღლეები; მიაჩნია, რომ სულიერად ამაღლებამ ადამიანის არსების იმ ნაწილის გარდაქმნაც დაიწყო შინაგანად, რასაც ფიზიკური სხეული ჰქვია და ახლებურად აღიქვამს ყოველივეს** (რელიგია, ბუნებრივია, რომ ცვლის ადამიანის ცნობიერებას, ასკეტური ცხოვრება კი ისეთ ცნობიერებას აყალიბებს, რომლითაც ადამიანს სამოთხის წარმოდგენა შეუძლია). ასკეტის სიმაღლეებიდან გაჰყურებს ასეთი ადამიანი სამყაროს, ასკეტის ნაღვაწს თავისი მხრიდან ერთ აგურს ამატებს, კიდევ ერთ ნაბიჯს დგას სიმაღლეთაკენ და ოცნებით იწყებს **გარკვეულწილად** იმისი **მსგავსი** სამყაროს ხატვას, რომელშიაც პირველი ადამიანები ცხოვრობდნენ, **ერთგვარად გასულიერებული სხეულის გამოსახვას ცდილობს რენესანსის მხატვარი,** სიშიშვლეს ხატავს ადამიანისას და ისე ჩნდება ეს სიშიშვლე, რომ დაბალსულიერება და გარყვნილება არ აღძრას მან მნახველში; ამ დროს იბადება განწყობილება, რომ მშვენიერება სხეულშიც არის საძებნელი, რომ ადამიანი მიუახლოვდა განვითარების იმ ეტაპს, როცა პირველადი მდგომარეობა უნდა დაიბრუნოს (ჩანს, არაერთი ასკეტი შინაგანად უკვე ისეთ დონეზე ამაღლებულად ესახებათ ამ დროის მხატვრებს, რომ სხეულებრივადაც შეცვლილებად მიაჩნიათ ისინი, ფიქრობენ, რომ **შინაგანად გასულიერებულია მათი არსების ის ნაწილი, ფიზიკური სხეული რომ ჰქვია),** ასკეტური ცნობიერების მქონე ადამიანი **ოცნებით ხედავს სამოთხეს, გასულიერებულ მიწას და სხეულს,** ასეთი ოცნებით იწყებს ხატვას და **სწორედ ეს**

ოცნება (ასკეტის ოცნება სამოთხეზე) და რწმენა იმისა, რომ სულიერი ამაღლების შედეგად შინაგანად უკვე იცვლება, სულიერდება ადამიანის სხეულიც და მთელი ფიზიკური სამყაროც, ხდება ერთ-ერთი იმპულსი, რაც რენესანსს ბადებს.

ადამიანის სხეულთან ერთად მთელ ფიზიკურ სამყაროს შეცვლილად ხატავს რენესანსული ცნობიერების მხატვარი, ცხადია, სამოთხისა არ არის, მაგრამ **სამოთხისას ჰგავს** მის მიერ დახატული გაცოცხლებული და მზედაღვრილი მიწა, შინაგანად გარკვეულწილად გარდაქმნილად მიაჩნია იგი, სულიერი თვალი ხედავს, რომ **უკვე ძლიერად შეცვლილა,** სულიერი ნათელი უკვე ჩაღვრილა ამ ქვეყნიერებაში, ანთებულა იგი სულიერი ნათლით **და ეს სამოთხისეული სიცოცხლე ისახება მიწისა და, საერთოდ, ამ ქვეყნიერების ხატვისას, რენესანსის ეპოქაში.** რაფაელისა თუ ლეონარდო და ვინჩის მსგავ **შინაგანად** მაღალსულიერ შემოქმედებს ყურადღება სხეულზეც გადააქვთ, მხატვრის თვალსაწიერში სხეულებრივი მშვენიერებაც ხვდება, მკაფიოდ იხატება სხეული; თავს ნებას აძლევენ, თამამად დახატონ შიშველი სხეულიც, ანტიკური ხელოვნება ახალი სულიერებით არის მათთან გაცოცხლებული, ადამისა და ევას მდგომარეობასთან მიახლოება სწადიათ შინაგანად და, როცა რელიგიურ პერსონაჟს, ვთქვათ, წინასწარმეტყველს სახავენ შიშვლად, ამით იქითკენ უბიძგებენ მნახველს, რომ ეროტიკა უკუაგდონ ასეთ შემთხვევაში და ის უმანკო სიშიშვლეც შეიგრძნონ, რაც ადამისა და ევასათვის იყო დამახასიათებელი (შესაძლოა, ესეც იყოს **ერთ-ერთი** მიზეზი რენესანსული ცნობიერების აღმოცენებისა), როცა, ვთქვათ, „სამი გრაცია“ (რაფაელი) და მსგავსი პერსონაჟები ისახება ტილოზე, მაშინ, ცხადია, ეროტიზმიც ძლიერია, მაგრამ ბიბლიურ პერსონაჟთა ხატვისას, ვფიქრობთ, გარკვეულწილად ადამისა და ევასდროინდელი უმანკოების ხედვის სწავლებასაც ცდილობს რენესანსის მხატვარი (ყოველ შემთხვევაში, აქვს ამის პრეტენზია). არა მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ სხვა რელიგიათა წარმომადგენლებსაც მიაჩნიათ, რომ სულიერად ამაღლდა ადამიანი, როგორც ჩანს, – ძირითადად ნეოპლატონური სწავლების წყალობით. მართალი უნდა იყოს ალ. ლოსევი, როცა წერს, რომ არსებობს

წარმართული, მაჰმადიანური, ქრისტიანული და სხვაგვარი ნეოპლატონიზმი (იგულისხმება არეოპაგეტიკა; ლოსევი 1978: 27-28). ნეოპლატონიზმი, ცხადია, ღმერთთან ადამიანის დაბრუნების სურვილმა დაბადა; თუ მამა ღმერთთან იესოს დაბრუნების მაშინ უკვე საქვეყნოდ ცნობილ ისტორიას, რომელიც არაქრისტიანთა ყურადღებასაც იქცევდა, ნეოპლატონიზმზეც აქვს ზეგავლენა მოხდენილი (შეუძლებელიც გვგონია, მკვდრეთით ადამიანის აღდგომისა და ღმერთთან მისი დაბრუნების ისტორია პლოტინისა თუ პროკლეს ყურადღების ქვეშ არ მოქცეულიყო, რომ ქრისტეს იმპულსები არ იყოს ასახული სწავლებაში, რომელიც საწყისი ნათლისაკენ იმ ეტაპობრივ ზეაღსვლას გვასწავლის, რაც ლოცვითა და კათარზისით მიიღწევა), მაშინ, გარდა იმ აზრის გაზიარებისა, რომ პროკლეს ნეოპლატონიზმია რენესანსის **ერთ-ერთი** საფუძველი (ცხადია, აქ შ. ნუცუბიძისეულ „აღმოსავლური რენესანსის" თეორიას ვგულისხმობთ; ნუცუბიძე 1942; ნუცუბიძე 1967),[2] ვფიქრობთ, ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არაქრისტიანულ ნეოპლატონურ სწავლებებში, პლატონის გარდა, ქრისტიანობის ზეგავლენაზე მიმანიშნებელი კვალიც არსებობს. შინაგანად რომ სულიერდება მიწიერება, ეს მხოლოდ ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში კი არა, არამედ, როგორც ალ. ლოსევზე დაყრდნობით ითქვა, სხვა რელიგიათა და მიმდინარეობათა წიაღებშიც ისახება, მაგრამ არეოპაგეტიკაში ეს მთელი სიცხადით ჩნდება. ითქვა ისიც, რომ რენესანსის წინარე პერიოდში სულიერად ძალიან ამაღლებულობის განწყობილება ეუფლება ადამიანს (რაც, ჩანს, **არეოპაგეტიკის გარეშე მართლაც არ მომხდარა),** რომ **განიწმიდა ადამიანი** (რაც რენესანსის წინარე პერიოდის **მხატვრულ** შემოქმედებაში **დანტესთან** ისახება ძალუმად) და რომ სულთან ერთად შინაგანად შეიცვალა, **გარკვეულწილად გასულიერდა სხეულიც.** ამ დროს მიჩნეულია, რომ ადამიანს შეუძლია, რადაც უნდა, იმად გარდაიქმნას (პიკო დელა მირანდოლა) და, როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ ღმერთისაკენ გარკვეულწილად უკვე ამაღლდა, რომ თეოზისის **ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე** დადგა ადამიანი; მხატვრები სხეულში ადამიანის სულიერ მხარეს, მის ხასიათს ხედავენ და ღვთაებრივი ელფერი

ედება და ცოცხლდება დასავლეთის მხატვრობაში სხეულიცა და მთელი მიწიერებაც, სულიერების შუქით ინთება ყოველივე, სულიერდება ფიზიკური სამყარო და ხატავენ გამშვენიერებულ სხეულს რენესანსის მხატვრები, იტალიური სკოლების დიდოსტატები, სხვანი და სხვანი, **უმეტეს შემთხვევაში** ცდილობენ, რომ **სისუფთავე იყოს ასახული მასში, რაც გარეგნული ფორმით ელინურ სტილს არის უმეტესად მიმსგავსებული, მაგრამ უკვე სრულად სხვა, ამაღლებულ ქრისტიანულ სულიერებას ეფუძნება.**

აღმოსავლეთის ეკლესია უარს ამბობს რენესანსულ ფერწერაზე, რადგან ეროტიზმის მომძლავრების საშიშროებას ხედავენ ამგვარ ჰუმანიზმში (ეს შიში, ცხადია, უსაფუძვლო არ არის)[3], რენესანსული მხატვრობა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში ვერ იმკვიდრებს გამოკვეთილად თავს, მაგრამ საერო მწერლობაში ჩნდება ამგვარი ჰუმანიზმის პრინციპები („ვეფხისტყაოსანია“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი), საერო მწერლობაში პორტრეტიც იხატება და ისეთი ბუნებაც, რომელიც არა ადამიანის სულის მდგომარეობის წარმოსაჩენად, არამედ თავისთავადი მშვენიერებით წარმოდგება; შემდგომ, რენესანსიდან უკვე დაცილებულ ეპოქაში, სულ უფრო ძლიერდება განცდა, რომ ცოცხლდება სამყარო: თითქოს ამ სამყაროს სული იღვიძებს მწერლობასა და ხელოვნებაში, თითქოს დედამიწაც იღვიძებს და ფხიზლდებიან სულები ვარსკვლავებისა (ადამიანი ანტიკურ ეპოქაშიც ასულიერებდა ბუნებას, მაგრამ რენესანსმა თავიდან, უკვე სულ სხვა სიმაღლეზე, მოახდინა ეს) და ზოგ პოეტს შინაგანად, ზოგჯერ გაუცნობიერებლად, ის გრძნობაც ეუფლება, რომ აცოცხლებს სამყაროს სულებს, რომ სულიერ პლანში მაყურებელი თავიანთი ნამდვილი სახით ხედავს მათ, თითქოს ახსენებს ამით, რომ ცოცხლები არიან სინამდვილეში. ამგვარ, გამაცოცხლებელ პოეტად მოჩანს ვაჟა, როცა ამბობს: **„უსულო საგნებს სული ჩავბერე, / ავასაუბრე ლოდები კლდისა“.** ამ მაღალ სულს შეუძლია, რომ დანტესავით ეწვიოს სულიერ სამყაროს და ზოგჯერ მეტიც გააკეთოს, – იქ მყოფთ ქრისტესმიერი მადლით აღსავსემ უთხრას, რომ ცოცხლები არიან და ამით შეეწიოს გონზე მოსვლაში სულეთის მკვიდრებს: – **„მე გავაცოცხლე ხელის შეხებით / ლეში მდუმარე, ლეში გახრწნილი“.** ამ

სიტყვების მთქმელი თითქოს გრძნობს: – მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ყველას, ცოდვები მასაც მოსდის, მთლიანობაში მაინც ქრისტეს საქმეს აკეთებს, ამიტომ თავს ნებას აძლევს და ამბობს: – „**მადლი მფენია მარჯვენაზედა / იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!“** (აქ ამპარტავნება არ არის, ლექსს „ნუგეში მგოსნისა“ ჰქვია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თავს იმშვიდებსო სინდისშეწუხებული ვაჟა, თითქოს იმის გაცნობიერებას ცდილობს, რომ ტყუილად არ უცხოვრია ამქვეყნად); იმით კი არ ინუგეშებს თავს, რომ ორიგინალური მხატვრული სამყარო შექმნა, ეს არ დააკმაყოფილებს, შინაგანად სწამს, რომ მართლა რაღაც შეცვალა სამყაროში, გარკვეულწილად გააუკეთესა იგი. მაღალსულიერი ადამიანები ფიქრების საშუალებით სულიერ წიაღებს სტუმრობენ ხოლმე და შინაგანად სჯერათ მათი რეალურობა. რომ არ სწამდეთ, სიყვარულს რომ არ ეფუძნებოდეს, ვთქვათ, დანტესა და მილტონის შემოქმედება, მხოლოდ თამაშის განწყობილებით რომ იყოს მათი პოემები შექმნილი, განსაკუთრებული ღირებულება ვერ ექნებოდა მათ, კაცობრიობა ვერ შეიყვარებდა ასე ძალუმად. შინაგანად სჯერა ბევრ მკითხველს, რომ მართლა არსებობს ის, რაც ამ წიგნებშია აღწერილი, ეგულებათ სულიერი სამყაროები და იმედი ემატებათ და უკვდავების იმედი ეძლევათ ადამიანებს. სახარებაში აღწერილია მკვდრეთით აღმდგარი იესო, მოთხრობილია მამასთან დაბრუნებულ „უძღებ შვილზე“, რომელსაც „სამოსელი პირველი“ (უკვდავი, ანუ „სულიერი სხეულის“ სიმბოლო) შემოსა მამამ, მამა ღმერთის უკვდავ შვილად რომ უნდა შეიქმნას ადამიანი, სხეულებრივადაც რომ უნდა გარდაიქმნას, ეს ცხადად არის წარმოჩენილი ოთხსავე სახარებაში. არაერთ პროზაიკოსსა თუ პოეტს, ხელოვანს შეუძლია, თავის უმთავრეს მიზნად სწორედ ის დაისახოს, რომ სიცოცხლისაკენ სწრაფვის სურვილით აღავსოს ადამიანი, – რელიგიურ პლანში მოღვაწე ავტორი ცოცხლად დახატავს, თუ როგორ აღდგა ადამიანი მკვდრეთით, როგორ დაბრუნდა მამასთან, როგორ შეჰხარიან ანგელოზები უკვდავებაში დაბრუნებულს. იქნებ დაიხატოს მზის შუქით ანთებული ქვეყანა, რომელიც ვაჟას „უსულო“ პერსონაჟებივით და მათზე უფრო ცხადი ენით მეტყველებს და ასევე შეჰხარის შემოქმედს, თუ

სიცოცხლით სავსე და მართლა ძლიერ ნაწარმოებს შექმნის მწერალი, ხელოვანი, შთამაგონებლად იმოქმედებს ეს ნაწარმოები ფილოსოფოსზე, საერთოდ, მეცნიერზე, მხატვარზე, მუსიკოსზე, უფრო და უფრო გამდიდრდება სულიერი კულტურა და სულ უფრო მეტი სასიცოცხლო ძალით დაიმუხტება ქვეყნიერება; შესაძლოა, დაიხატოს (ამ სიტყვების წერისას გარკვეულწილად უკვე იხატება) მამასთან დაბრუნებული ადამიანი, რომელიც ხედავს, რომ მართლა არსებობს ღმერთი და უკვდავება, რომელსაც სიზმარივით ახსენდება დრო, როცა მოკვდავი იყო და აღარც სჯეროდა ღმერთის არსებობისა და რომელსაც მარადისობა აღარ აშინებს, რადგან იცის, რომ ამ უსასრულო სივრცისა და მარადიული დროის შემოქმედიც მისი მამაა და დღეს თუ არ ესმის უსასრულობის არსი, ხვალ უფრო და უფრო ღრმად შეაცნობინებს მამა, ხვალინდელი დღე არ შეაშინებს სამოთხეში დაბრუნებულს, რადგან ეცოდინება, რომ „ხვალემ უნდა იზრუნოს ხვალისა“. ასეთი სახის რელიგიურობა, ასეთი შემოქმედება მხოლოდ რელიგიურ ლიტერატურასა და ხელოვნებას კი არ გაამდიდრებს, მრავალგვარი ადამიანისათვის გახდება მისაღები. ათეისტს არ სწამს ღმერთი, სამოთხე და სალხინებელი ან ჯოჯოხეთი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ღებულობს დანტესა და მილტონს და, თუ ნორმალური აზროვნებისაა, ეჭვქვეშ არ აყენებს, რომ ასეთი კულტურის გარეშე გაღატაკდებოდა კაცობრიობა, სამოთხეს ასე ადვილად ვერ ირწმუნებს, მაგრამ სიცოცხლის აპოლოგია თუ იქნება სამყაროში გამარჯვებული, ათეისტსაც შეემატება სიცოცხლის ხალისი. მწერლობას რეალური ძალა აქვს და ყოფით ცხოვრებაშიც შეიტანს იგი ხალისს: – ადამიანები ერთმანეთს მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებენ ხოლმე, უკვდავებაში დაბრუნების სურვილი რომ გახდეს მთავარი დალოცვა, ეს უფრო გაახალისებდა მრავალთა ცხოვრებას და, მორწმუნის პოზიციებიდან თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულიერად ეს უფრო მიაახლოვებდა ადამიანებს ღმერთთან; ადრეც ვწერდით (კუჭუხიძე 2016: 144) და გავიმეორებთ: თუ მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ჰეროიკული და, საერთოდ, სიკვდილის რომანტიკაზე დიდწილად არის დამოკიდებული, სიცოცხლის რომანტიკასაც დაეფუძნება,

ქრისტიანული თეოლოგიის ასპექტიდან თუ ვიტყვით, ადამიანი უფრო ადვილად მიუახლოვდება სულიერი განვითარების იმ ეტაპს, როცა „ძედ აღდგომისა“ (ლ. 20-36) შეიქმნება, როცა სიკვდილისა და მოკვდავობის გათავისუფლების მდგომარეობასთან ახლოს იდგება, როცა შინაგანად გარდაიქმნება, გაბრწყინდება მისი არსების ის ნაწილიც, რომელსაც სხეული ჰქვია, რასაც სახარებიდან იქნებ მაშინ ვხედავთ, როცა უფლის მიერ თაბორის მთაზე ფერიცვალების ისტორიას ვკითხულობთ (არ არის გამორიცხული, ეს ეპიზოდიც აღმოჩნდეს **ერთ-ერთი** საფუძველი რენესანსისა, მასში უფლის მიერ გარკვეულწილად უკვე გასულიერებული ადამიანური სხეული მოჩანს).

რენესანსის გენეზისს ხშირად „რელიგიური მარწუხებისაგან“ გათავისუფლებასთან აკავშირებენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ მკვლევრებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პირიქით, **ეკლესიური აზროვნების ევოლუცია არის საფუძველი** მისი დაბადებისა, – ეს მიმდინარეობა მაშინ აღმოცდენდა, როცა **ცნობიერება უკვე ისეთ დონეზე ჰქონდა გარდაქმნილი, რომ სამოთხეზე ოცნება შეეძლო ადამიანს, როცა იმ დონემდე ამაღლებულად წარმოიდგინა თავი, რომ გასულიერებული სხეულისა და სამყაროს ხატვის გამბედაობა ეყო, როცა გამშვენიერებული, გარკვეულწილად გასულიერებული სხეულის წარმოდგენა და დახატვა შეძლო;** მხატვარს მიაჩნია, რომ **სულთან ერთად შინაგანად უკვე დაიწყო გარდაქმნა, გასულიერება ადამიანის სხეულმა, მთელმა ფიზიკურმა სამყარომ და ხატავს ამ შინაგანი გასულიერების პროცესში მყოფ სხეულებს.** რენესანსის აღმოცენებაზე სეკულარიზაციამ და სხვა გარემოებებმა ასევე იქონია ზეგავლენა, მხოლოდ ერთგვაროვანი მიზეზი არ არსებობს (ასეთი მიზეზის მოძებნა, მით უმეტეს, ძნელია, როცა გავითვალისწინებთ, რომ ერთგვაროვანი არ არის რენესანსი), მაგრამ, ვფიქრობთ, მთავარი იმპულსი **რელიგიური აზროვნების ევოლუციასთან არის დაკავშირებული.**

შენიშვნები:

1. ქრისტიანული თვალთახედვით, პიროვნების გადასარჩენად აუცილებელია, რომ წარმავალი ფასეულობები, წარმავალი სახელი, მატერიალურობისაკენ სწრაფვა, ხორციელი ვნებებები არ დააყენოს ადამიანმა უმაღლეს ადგილზე; ადამიანის სახე დაუკნინდება, თუ დაივიწყებს ამ შეგონებას: „ნუ ჰზრუნავთ და იტყჳთ, რაჲ ვჭამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ?“ (მ. 6:31), „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“ (მ. 6: 33). ასე მოქცევის შემთხვევაში, საჭირო მატერიალური ქონების გარეშეც არ დარჩება იგი; პეტრარკა თავის მეორე „ავტობიოგრაფიაში“ უარს ამბობს წუთისოფელზე, აღარ აინტერესებს ამქვეყნიური სახელის მოსახვეჭად წერა, თუმც, ნაწარმოების ბოლო ნაწილში, თუ არ ვცდებით, იმაზეც არის მინიშნება, რომ ხორციელ ვნებებსა და ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე გულწრფელი უარის თქმის შემდეგ ის ქვეყნიერი სიკეთეც მიეცემა ადამიანს, რაც მართლა სჭირდება. თუ უარს იტყვის წარმავალობაზე, წუთისოფლურ ღირებულებებზე, თუ მთავარი მამისეულ სამშობლოში დაბრუნება გაუხდება, მაშინ მხოლოდ საჭირო, სულისათვის მართლა სარგო ნაწარმოებებს დაწერს, ნამდვილი სიყვარულით შეუყვარდებათ სულიერი ცხოვრებისაკენ მსწარფველთ და არც სატრფო დაეკარგება, – იმიტომ, რომ, რადგან სულიერი ფასეულობები გაუხდება მთავარი, მართლა სული მიიზიდავს მასში. როცა მხოლოდ სხეული უყვარს სატრფოსი და თავს იტყუებს, რომ სულიერი სიყვარულითაა სავსე, ცხოველური ინსტინქტები მატულობს და პიროვნება სუსტდება ადამიანში.

2. ალ. ლოსევი ძალიან ახლოს არის სიმართლესთან, ოღონდ, ვფიქრობთ, მისი ზოგი დებულება (ან, იქნებ, – ცენზურისათვის თვალის ასახვევად სანახევროდ წარმოჩენილი სიმართლე) დაზუსტებას საჭიროებს: ნაშრომის თანახმად, რენესანსული ანთროპოცენტრიზმი ეს არის ერთგვარი სტიქიური მცდელობა იმისა, რომ ფეოდალური ექსპანსიისაგან გარკვეულწილად გათავისუფლებულმა ადამიანმა თავი დაიმკვიდროს ქვეყნიერებაზე როგორც ღვთის ქმნილებამ, სამყაროს ცენტრად წარმოუდგენია მას თავი (ამაში არტისტიზმსაც ხედავს მკვლევარი; ლოსევი 1978: 607-614). ადამიანი ღვთისგან ემანირებულ სამყაროში ცხოვრობს და ბედნიერების განცდა ეუფლება; ალ. ლოსევი ნეოპლატონიზმთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძის თეორიას ეყრდნობა, ოღონდ განსხვავება ისაა,

რომ შ. ნუცუბიძემ არეოპაგეტიკა (იქნებ, ასევე, სახელმწიფო იდეოლოგიისთვის თვალის ასახვევად) შეფარულ მატერიალიზმად და ათეიზმადაც კი წარმოაჩინა; ცხადია, რენესანსის ადამიანს უღმერთო სამყაროში ნიცშეს „ზეკაცივით“ ამაღლებულ არსებასთან არაფერი აქვს საერთო.

3 ეროტიზმის შიში დასავლეთშიც რომ ძლიერია, ეს პეტრარკას ზემოხსენებული „ავტობიოგრაფიიდანაც“ გამოჩნდა. რენესანსის ლიტერატურასა და ხელოვნების არაერთ ჟანრში სხეულებრივი ტკბობისკენ ზედმეტი სწრაფვა, ბოკაჩოსეული და სხვა განწყობილება შემდგომ და შემდგომ მართლაც ძლიერდება... ადამიანი არ უნდა მოწყდეს სულიერებას, არ უნდა დაივიწყოს, რომ **სხეულებრივობაზე მთავარი ყურადღების მიმართვა არ შეიძლება,** რომ **რენესანსში დახატული სხეულიც არაა ის, რაც აღდგომის შემდეგ მიეცემა ადამიანს.**

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახალი აღთქმა 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისი, 1979.

კუჭუხიძე 2016 – კუჭუხიძე, გ. იოანეს სახარების ზოგიერთი ფილოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი. ლიტერატურული ძიებანი, XXXVII. თბილისი. 2016.

ძველი აღთქმა 1981: მცხეთური ხელნაწერი, მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი, 1981.

Panofsky 1960 – Panofsky E., Renaissance and renascences in Western art. Stockholm, 1960.

Лосев 1978 – Лосев Ал., Эстетика возрождения. Москва, 1978.

Нуцубидзе 1942 – Нуцубидзе Ш., Тайна Псевдо-Диониися Ареопагита. Тбилиси: 1942.

Нуцубидзе 1967 – Нуцубидзе Ш., Руставели и Восточный Ренессанс. Тбилиси: 1967.

Gocha Kuchukhidze

AT THE ORIGINS OF RENAISSANCE (ARTICLE TWO)

Summary

The article discusses genesis of Renaissance. We do not share the views of the researchers that the main stimulus of Renaissance formation was associated with weakening of religious thinking and support the statement that on the contrary, development of religious thinking has caused origination of Renaissance. The work offers that the Renaissance is natural continuation of ascetic worldview. According to Christian theology, when a human achieves certain spiritual level, his/her body starts to transform as well and with spiritual elevation becomes beautiful, just like Adam and Eve, before their Fall from grace. In the period prior to Renaissance, art of certain painters demonstrate dominating view that humans have already elevated spiritually and together with spiritual improvement their bodies started to change as well, the painters regarded that human body has commenced internal transformation that it has achieved ***certain level*** of transformation, i.e. it became spiritual and he paints the body in the process of such spiritualization. Painters of Renaissance period see not only a human body but entire physical world as being in the process of spiritualization. And this is the esthetics of Renaissance painting that demonstrates such world perception. Renaissance is one of the stages of human transformation and this should be continued further, to make humans immortal again and return them to Father.

The *article one,* dedicated to these issues (see "Journal Of Gelati Academy Of Sciences, №1-4, 2022) offers the view that biblical story about expulsion of Adam and Eve from paradise figuratively describes change of human consciousness, its deviation from the truth, perversion of consciousness, now, in the *article two* we focus particular attention on the spiritual changes of individual, by religion, returning him to the way to immortality.

Here we should note: we regard that secularization, as well as the other circumstances have influenced origination of Renaissance, there is not only one cause (it is especially hard to find such cause, regarding that Renaissance is not homogenous as such).

Presented work offers that, possibly, the New Testament story about Lord's transfiguration at Mount Tabor was one of numerous stimuli for origination of Renaissance, it is not impossible that one of the paradigms of shining, beautified body was the mentioned episode of the New Testament.

The work provides discussion of number of theological issues; in relation with theology there is discussed Georgian poet – Vazha Pshavela.

გია ხოფერია

აკაკი წერეთლის ვაჟის – ალექსის კვალდაკვალ

აკაკის ვაჟის - ალექსის ცხოვრებას, სამწუხაროდ, ნაკლებად ვიცნობთ, რაც ბევრად განაპირობა ჩვენში კარგა ხანია გავრცელებულმა არასასიამოვნო ხმებმა; ზურგისშექცევა ამ პიროვნების მიმართ მისი გარუსების გამო ხდებოდა. ვინ იცის, ვის რა პირობებსა და რა გარემოში მოუწევს წუთისოფლის ჭაპნის გაზიდვა, ვინ გარუსდება, ვინ გაფრანგდება, გაინგლისელდება თუ გაამერიკელდება, გაქართველდება კიდეც. მთავარია, რამდენად მოახერხებს იგი, თავისი ნიჭიერება, შრომა და ენერგია ადამიანური მაღალზნეობრიობის გამოვლინებას მოახმაროს.

ჩვენს სასიქადულო პოეტს დიდი სურვილი ჰქონდა ოჯახთან ერთად საქართველოში ეცხოვრა, რაც, ბუნებრივია, მეტად შეუწყობდა ხელს მის საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ მეუღლემ, ნატალია ბაზილევსკაიამ, კვლავ რუსეთში დაბრუნება გადაწყვიტა, შვილიც თან გაიყოლა და პეტერბურგში დაფუძნდა. ამჟამად უფრო ვრცლად ამ საკითხებზე საუბარს არ გამოვედევნები. ლევან ასათიანს თავის დროზე წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ არცთუ ცოტა აქვს ნათქვამი აკაკის ოჯახური დრამის შესახებ (ასათიანი 1965: 200-204, 234-236, 257-258, 269, 271, 290, 312-313).

ალექსიმ პეტერბურგში დაამთავრა გიმნაზიაც და უმაღლესი სასწავლებელიც. სპეციალობით ინჟინერი იყო, მაგრამ სპეციალობით არასდროს უმუშავია, მთელი ცხოვრება ხელოვნებას შეალია.

ალექსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთ საგულისხმო ამბავს ვიგებთ თვით აკაკი წერეთლის პირადი წერილებიდან, განსაკუთრებით აკაკის თხზულებათა მე-15 ტომი გამოდგება ამ თვალსაზრისით; ასევე, საგულისხმოა „წერილები ცოლ-შვილთან“, 1966 წელს რომ გამოიცა ბესარიონ ჟღენტის ვრცელი წინასიტყვაობით. ეს წინასიტყვაობაც ერთგვარი სტიმულატორი გახლავთ, ალექსის მოღვაწეობით რომ დაინტერესდე. ასევე, არაერთი სიახლის მაუწყებელია ჟურნალ „თეტრალურ მოამბეში“ დაბეჭდილი ნონა თევდორაძის წერილი „ალექსი წერეთელი –რუსული ოპერის მოამაგე“ (თევდორაძე 1987: 89-96); დიდად მნიშვნელოვანი რეცეზია-ინფორმაციებია შემონახული გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ და რუსულ პერიოდიკაშიც („ივერია“, „ცნობის ფურცელი“...“кавказъ“, „южний край“, „московские ведемости“, „петербургские ведемости“, „Ежегодник императорских театров“ და სხვ.); არანაკლებ საინტერესოა რუსული ემიგრანტული პრესა („театрь и жизнь“, , „мир и искуство“, „иллюстрированная россия“ და სხვ.). თუ ამას დავუმატებთ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ რუსი თეატრალი კრიტიკოსებისა და მკვლევრების წერილებს (ცოდოკოვი, გავრილინა, ბესპალოვა, პეტროვა..), სახელგანთქმული მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსების (შალიაპინის, რუფოს, დავიდოვას, ალექსანდრე ბენუას, კონსტანტინე კოროვინის, ივან ბილიბინის...), მემუარებს, მიმოწერებს, მოგონებებს და ხელმისაწვდომად დაარქივებულ საბუთებს, საკმაოდ ვრცელი მასალა დაგროვდება და საჭიროებაც მოითხოვს, ეს მასალა სათანადოდ იქნეს დამუშავებული მონოგრაფიის მოცულობამდეც კი და დღემდე არსებული სიმწირე ინფორმაციისა წარსულს ჩაბარდეს.

რა თქმა უნდა, ალექსი წერეთლის ცხოვრების ყოველი დეტალი ამით ნათელი ვერ გახდება, მაგრამ რამდენადმე სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნება იმ პიროვნების შესახებ, რომელიც ერთ დროს შესამჩნევი ავტორიტეტი იყო არა მარტო რუსულ, არამედ ევროპულ საოპერო ხელოვნებაში და, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ მას ქართული საოპერო ხელოვნების მომავალი კორიფეებისათვის (მიხეილ ნანობაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ივანე ფალიაშვილი და სხვ.) გზის გამკვალავის საქმეც უკისრებია და

ყოველთვის დაინტერესებული იყო ხელი შეეწყო ხელოვანი ქართველებისათვის, ერთი-ორად გაიზრდება სურვილი, მისი ცხოვრების შესწავლა მხოლოდ უცხოტომელებს არ მივანდოთ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში ბევრი არსებითი ხასიათის ცვლილება მოხდა. კერძოდ, დამთავრდა საიმპერატორო თეატრების მონოპოლია და თანდათან ასპარეზზე გამოჩდნენ კერძო ანტრეპრიზები და თეატრალური ამხანაგობები. პირველი კერძო დასები ჩამოყალიბდა კიევსა და ყაზანში 60-იან წლებში. მართალია, მათ დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, მხოლოდ პირველობის სტატუსი შერჩათ, მაგრამ მომდევნო ათწლეულებში არაერთმა მოახერხა დაწყებული საქმის გაგრძელება და უკვე საუკუნის ბოლოს ანტრეპრიზებს სერიოზული ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული და მაყურებელიც არ აკლდა. განსაკუთრებით გამორჩეული იყო მოსკოვში მამონტოვის ანტრეპრიზი. მალე სხვებიც დაწინაურდნენ. მათ შორის ალექსი წერეთლის კერძო დასმაც შეძლო საკუთარი ხელწერის მოპოვება.

უკვე ვთქვით, რომ ალექსი წერეთელი განათლებით ინჟინერი იყო, მაგრამ ფანატიკურად უყვარდა ოპერა. სწორედ მისი გულმოდგინებით ჩამოყალიბდა 1896/97 წლებში ხარკოვში ანტრეპრიზი. მალე გასტროლებიც დაიწყო მოსკოვში (თეატრი „ერმიტაჟი“), ოდესაში, პეტერბურგში (პანაევის თეატრი), მოგვიანებით – თბილისში. ამ დასის პირველ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის დირიჟორ ვიაჩესლავ სუკს. იგი თავის დასში ალექსი წერეთელმა 1897 წელს მიიწვია. ამ დირიჟორს, რომელსაც თეატრალური რეჟისორის გზაც ჰქონდა გავლილი, 1904 წელს წილად ხვდა პეტერბურგში კონსერვატორიის დიდ სცენაზე „პან ვოევოდას“ პირველად წარმოდგენისას ეხელმძღვანელა ორკესტრისათვის.

წერეთლის ანტრეპრიზმა ყურადღება მიიქცია იმით, რომ ტრადიციული საოპერო რეპერტუარის („რიგოლეტო“, „ლუჩია დე ლამერმური“, „ჰუგენოტები“) გვერდით დადგა ნაციონალური ოპერის რჩეული ნაწარმოებები. მაყურებელმა მოიწონა ამ დასის მიერ შესრულებული „სადკო“ (1898), „მეფის საცოლე“ (1899). წერეთელი თვალყურს ადევნებდა მსოფლიო ოპერაში მიმდინარე სიახლეებსაც. მან პირველად

ხარკოვში დადგა გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის უმბერტო ჟორდანოს ოთხმოქმედებიანი შედევრი „ანდრე შენიე“ 1897 წელს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაკვალული გზა საიმპერატორო სცენისკენ.

როგორც საოპერო კრიტიკოსი ევგენი ცოდოკოვი აღნიშნავს, ალექსი წერეთელს უტყუარი ალღო გააჩნდა ტალანტების მისაგნებად. მან პირველმა შენიშნა ნატალია ერმოლენკო-იუჟინის ნიჭიერება. მისი დებიუტი ანტრე-პრიზში 1900 წელს შედგა პეტერბურგში გამოსვლისას. ასევე წერეთლის დამსახურებაა მარია კუზნეცოვას აღმოჩენა, რომელმაც სადებიუტოდ მარგალიტას პარტია შეასრულა ოპერა „ფაუსტში“ 1904 წელს პეტერბურგის საზამთრო სეზონზე. წერეთელმა ოპერა „ტრავიატას“ დირიჟორობა პირველად მიანდო ემილი კუპერს და ამ ცდამაც არნახულად გაამართლა (ცოდოკოვი).

ალექსი წერეთელმა ცხოვრების რთული გზა გაიარა. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები ამ მეტად საინტერესო პიროვნების შესახებ რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს, რომელთაგან მთავარია ხარკოვში, პეტერბურგსა და პარიზში მოღვაწეობის წლები. თუ ამას დავუმატებთ ურთიერთობას საქართველოსთან და არა მხოლოდ მისი კერძო დასის გასტროლებს თბილისში, რუსეთისა და ევროპა-ამერიკის ქალაქებში, ამასთანავე, ცნობილი თეატრალური მოღვაწეების მოგონებებს, ცალკეულ ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებში მიმობნეულ შეფასებებსა და ინფორმაციებს, პირად წერილებს და აღვადგენთ აკაკის ცოლ-შვილთან დამოკიდებულების რამდენადმე დრამატულ სურათებსაც, ვფიქრობთ, საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი დაიწერება...

ალექსი წერეთლის დასი თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა 1902 წლის სექტემბერში და დაყო იქ ნოემბრის დასაწყისამდე. ამ დასმა წარმოადგინა შემდეგი საოპერო სპექტაკლები: „ფაუსტი“, „რიგოლეტო“, “ჰუგენოტები”, „დემონი“, „მეფის საცოლე“, „ევგენი ონეგინი“, „ბოკაჩიო“, „ტოსკა“, „აიდა“, „პიკის ქალი“, „მარგალიტის მაძიებელნი“, „დუბროვსკი“, „ტრუბადური“, „ბოშების ბარონი“, „პაიაცი“, „სოფლური პატიოსნება“ და სხვ. სპექტაკლები ძირითადად სათავადაზნაურო თეატრში გაიმართა. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ხარკოვის საოპერო დასის წარმოდგენებს. გადავათვალიეროთ მაშინდელი ქართულ-

რუსული პერიოდიკა და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მხოლოდ სააფიშო განცხადებებით არ შემოფარგლულა პრესის დაინტერესება. გამოხმაურებებთან ერთად საკმაოდ შინაარსიანი და საქმის ცოდნით, პროფესიონალიზმით გამოირჩევა რეცენზიები, შენიშვნები; მათი კრიტიკული პათოსი გვარწმუნებს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს თუნდაც პირველი შთაბეჭდილებები.

სამაგალითოდ:

„29 სექტემბერს ბ-ნ წერეთლის დასმა წარმოადგინა „კრუჟოკში“ „ევგენი ონეგინი“. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ბილეთები რომ აღარ იყო, ბევრი ფეხზე იდგნენ. კრუჟოკის წევრთ ძალიან მოეწონათ მთელი დასი, მეტადრე ბონაჩიჩი, დობრაჟანსკაია, პოლუიანოვი და გაშინსკაია. კრუჟოკის გამგეობა აპირებს ეს დასი ყოველ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოიწვიოს. ძალიან კარგი აზრია და გამგეობა დიდ მადლობასაც დაიმსახურებს კლუბის წევრთაგან, რადგანაც შეძლება ექნებათ იაფ-ფასად იარონ ოპერაში“ (ივერია 1902, №208).

„თუ რა შეუძლიან რეპერტუარისა და მომღერლების ხანდახან შეცვლას, თავ. წერეთელი გუშინწინდელმა წარმოდგენამ სავსებით დაარწმუნა. ამ დღისათვის დანიშნული იყო წარმოსადგენად ახალი ოპერა „ლაკმე“ მუზ. დელიბისა, რომლის მთავარი როლი უნდა შეესრულებინა ახლად მოწვეულ გამოჩენილ მომღერალ ქალს ვან-დერ-ბრანდტს. თუმცა ბ-ნმა წერეთელმა ჩვეულებრივ გაზეთებსა და ქუჩაში რეკლამას არ მიჰმარტა, მაინც ხალხი ბლომად მიაწყდა თეატრს. მომღერლებიცა და თვით ხოროც, თითქოს ამ საღამოს დღესასწაულობდნენო, ისე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ხოროს სასიმღეროს დაწვრილებითი ნიუანსები, რომელსაც ხოროს მოთავენი საზოგადოდ ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ ხოლმე; და ხოროს მუსიკალურად ასრულებას-კი თითქმის ნახევარი ადგილი უჭირავს ოპერის წარჩინებით მღერაში, მაგრამ პირველობა ამ საღამოს ეკუთვნოდა ქ-ნ ვან-დენ-ბრანტს. ვანდენბრანდტმა მშვენივრად აასრულა თავისი როლი, როგორც სიმღერით, ისე თამაშით. განსაკუთრებული თვისებანი ამ მომღერალის ქალისა-კი piano-ა, რომელსაც თითქმის საკრავ თღაჟოლეტებთან ვერ გაარჩევ უმაღლეს ხმებში, და იშვიათი თავის დაჭერა ყოველსავე ფეხის

გადადგმაზე. მომღერალ ქალის წარჩინებას ხელს უწყობს სასიამოვნო გარეგნობა და მდიდრულ ტანისამოსის ჩაცმაც. ოპერამ საზოგადოდ დიდად ასიამოვნა მაყურებლები და მსმენელნიც არ ძუნწობდნენ ვაშას ძახილზედ და ტაშის დაკვრით აჯილდოვებდნენ არტისტებს“ (ივერია 1902, №209).

„სამშაბათს თავ. წერეთლის საოპერო დასმა წარმოადგინა ტფილისისათვის ახალი ოპერა ჟ. ბიზესი „მარგალიტის მაძიებელნი“. როგორც თვით ოპერა, აგრეთვე აღმასრულებელნი და განსაკუთრებით ბ. ბროჯი-მუტინი, საზოგადოებამ ზალიან მოიწონა. გამოწვევას და თაშისკვრას დასასრული არა ჰქონდა. ოპერა მშვენივრად არის მოწყობილი და პარტიებიც შესაფერისად განაწილებული. ორკესტრს ჩვეულებისამებრ ხელმძღვანელობდა ბ. შტეინბერგი. დასაწყისში ცოტა არ იყოს ხორო მოისუსტებდა, მაგრამ სემდეგში გასწორდა და ძლიერის გამომეტყველებით მრეროდა ტავის საგალობლებს, განსაკუთრებით-კი მეორე მოქმედების ფინალსი. ქ-ნ ვან-დენ-ბრანდტი, ავადმყოფობის გამო, ვერ იყო ისე მომხიბლავი, როგორც ყოველთვის არის ხოლმე.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. ეჭვ-გარეშეა, ეს ოპერა არა ერთხელ მრავლად მიიზიდავს მაყურებელთ, რადგანაც იგი ყოვლის მხრით საგულისხმიერო ნაწარმოებია“ (ივერია 1902. №226).

წერეთლის დასს არაერთი რეცენზია მიუძღვნა გაზეთმა „კავკაზ“. ერთი შეხედვით, ეს რეცენზიები პროფესიონალის დაწერილია. იგი კარგად ერკვევა საოპერო ხელოვნებაში, მაგრამ რატომღაც ყოველთვის გაგულისებული წერს და იშვიათად იმეტებს საქებარ სიტყვებს. სწორედ ამის შესახებ მიუთითა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“, რომელშიც არაერთი რეცენზია თუ გამოხმაურება დაიბეჭდა ამ გასტროლზე.

აი, რას წერს „ცნობის ფურცელი“:

„თავად წერეთლის საოპერო დასის პირველ წარმოდგენას ტფილისის ყველა გაზეთებმა თანაგრძნობის შენიშვნები უძღვნეს. საერთოდ ყველანი აქებენ ორკესტრს, ხოროს და საზოგადო ანსამბლს. არტისტ-მომღერალთაგანიც მოიწონეს ზოგიერთები, მაგრამ საბოლოო აზრს მათ შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ არ ამბობენ, რადგან ერთის ნახვითა და გაგონებით არტისტის დაფასება ძნელია. ტფილისის

ყველა გაზეთებს მხოლოდ „კავკაზ“-ი გამოაკლდა. მის რეცენზენტს თითქმის არაფერი მოსწონებია:არც ხორო, არც ორკესტრი, არც სახელოვნო ნაწილი, არც არტისტები. ამის შესახებ რა ითქმის: კაცია და გუნებაო, არ მოსწონს - ეს მისი საქმეა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოტა არ იყოს გასაკვირველია. მეტის-მეტად გადაჭარბებული გაკიცხვა, თვით კილო, რომლითაც დაწერილია რეცენზია. მართლა ცუდი დასები უნახავს ტფილისს, მაგრამ ასეთის კილოთი რეცენზიები არ დაწერილა. ნეტავი რამ გააბრაზა ბატონი რეცენზენტი?!“ (ცნობის ფურცელი 1931, 21 სექტემბერი)...

მე-20 საუკუნის დასაწყისში პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებაში დიდი ადგილი დაიკავა კერძო ანტრეპრიზებმა. ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ დასს წარმოადგენდა თავად ალექსი წერეთლის ანტრეპრიზი. იგი 1902 წლიდან წარმოადგენდა სპექტაკლებს პეტერბურგის თეატრის დიდ სცენაზე. ამ ანტრეპრიზს ერქვა მაშინ „ხარკოვის კერძო რუსული ოპერა“. ამ დასმა 20 სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. დასმა სასცენო გაფორმებისათვის გამოიყენა კარლ გვიდის დეკორაციები. ეს კარლ გვიდი გახლდათ იტალიური დასის პატრონი, რომელსაც პეტერბურგში ქვის გადამამუშავებელი საწარმო ჰქონდა გახსნილი და შემოსავალიც დიდი ჰქონდა, ამიტომაც თეატრის სცენას ყოველთვის მასზე აქირავებდნენ.

1904 წელს ისევ გამოჩნდა პეტერბურგში წერეთლის ანტრეპრიზი. ამჟამად ბევრად უფრო გამდიდრებული რეპერტუარით. ვინაიდან გვიდიმ უარი განაცხადა ახალ სეზონში მონაწილეობის მისაღებად, ალექსი წერეთელმა წერილობით თხოვა პეტერბურგის დიდი თეატრის დირექტორს 1904 წლის 1 ოქტომბრიდან 1905 წლის 7 აპრილამდე მისთვის დაეთმო თეატრის დიდი სცენა, სადაც გამართავდა 130 სპექტაკლს და თითოეული მათგანის დასრულების შემდეგ გადაიხდიდა 400 მანეთს. სინამდვილეში 160 სპექტაკლი წარადგინა, აქედან 147 იყო საღამოს, ხოლო 13 – დილის. დეკორაციები რეკლამისათვის 1904 წლის ზაფხულში შეიტანა თეატრში. ეს სეზონი დასისათვის წარმატებული აღმოჩნდა. პირველად უჩვენეს მაყურებელს ოპერა „პან ვოევოდა“ 1904 წლის 3 ოქტომბერს.

წერეთელს მოწვეული ჰყავდა ხსენებულ სეზონზე ცნობილი მომღერლები: მატია ბატისტინი, ლ. სობინოვა, ნ. ფიგნერი, რომელთაც ორ-ორჯერ მაინც უნდა ემღერათ.

ანტრეპრიზის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ფრანგი და იტალიელი შემსრულებლები. 1905 წლის 7 მარტს წარდგენილ იქნა ოპერა „რიგოლეტო“, რომელშიც ჰერცოგის პარტიას ასრულებდა ლეონიდ სობინოვი, რიგოლეტოსას – სახელგანთქმული ტიტა რუფო, ჯილდას ანსახიერებდა ნადეჟდა ვან-დერ-ბრანდტი. ამ სეზონზე მაყურებელმა იხილა წერეთლის ანტრეპრიზის მიერ დადგმული „ოტელო“, „სამსონი და დალილა“, „მადმუაზელ ფიფი“, „აფრიკელი“ და სხვ. წერეთლის თავისებურ სახელოვნებო ნიჭზე ისიც მიუთითებს, რომ მან სიურპრიზად შესთავაზა პეტერბურგელებს ა. ფრანკეტის „გერმანია“ და ფ. ჩილეას „ადრიენა ლეკუვრერი“ (მთავარ პარტიას ასრულებდა ლივია ბერლენდი). მიუხედავად ასეთი წარმომადგენლობისა, წერეთელს დიდი ვალი დაედო, დაახლოებით 70000 მანეთი. ხელისშემშლელი აღმოჩნდა რუსეთ-იაპონიის ომი, რევოლუცია. კონსერვატორიის დარბაზი ნახევრამდეც არ ივსებოდა, ამასთანავე, ზოგიერთ დღეებში დაკეტილიც კი იყო თეატრი.

ტიტა რუფოს მოგონებებში უწერია, რომ წერეთლმა პეტერბურგში მიიწვია ექვსი პარტიის შესასრულებლად და გასამრჯელოდ თითოეულში 1500 ლირა უნდა მიეცა. დათანხმებულა, წამოსულა კიდეც, მაგრამ რუსეთის საზღვარზე ურჩევიათ უკანვე გაბრუნებულიყო, რადგან ქვეყანა ცეცხლის ალში იყო გახვეული და განსაკუთრებით პეტერბურგი სრულიად არ იყო სათეატრო განწყობაზე. ისიც უთქვამთ, რომ მის უსაფრთხოებაზე პასუხს არ აგებდნენ. რუფოს მაინც გაუგრძელებია გზა და ძლივს მიუღწევია პეტერბურგამდე. ქალაქში შესულს მუშაც ვერ უშოვნია, თავისი მძიმე ჩემოდნების თეატრამდე მისატანად და თავად უკისრია ეს როლი 28-გრადუსიან ყინვაში. როგორც იქნა, მიუგნია თეტრისთვის, თოვლით ჰქონია კალოშები სავსე. თურმე არც ელოდა წერეთელი შექმნილი სიტუაციების გამო და გაოცებულ-გახარებული შეხვედრია მას. იგი ერთადერთი იტალიელი ყოფილა მაშინდელი პეტერბურგის სტუმარი.

ტიტა რუფოსა და ალექსი წერეთლის გულითადი ურთიერთობა სრულყოფილად ვერ აღიქმება, თუ მათი განშორების ბოლო სცენა არ გაცოცხლდა. გამოსათხოვარი წარმოდგენით ალექსიმ საოცარი და დაუვიწყარი სიურპრიზი მოუმზადა იტალიელ სტუმარს. „რიგოლეტოს“ მესამე

მოქმედების შემდეგ – მოგვითხრობს რუფო, – სცენა სრულად აივსო ყვავილებით და ოცდათექვსმეტმა კაპელდინერმა (მათ შორის სტუდენტის ფორმაში გამოწყობილმა იტალიური სიმღერის რამდენიმე მგზნებარე თაყვანისმცემელმა) მომიძღვნეს მდიდრულად მოქარგული ბალიშის 36 ბუდე ძვირფასი საჩუქრებით. თავდაპირველად მეგონა, რომ ეს იყო გარკვეული სარეკლამო მიზანსცენა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ გამოდგა. მე გამოვდიოდი, რომ მადლობა გადამეხადა აღფრთოვანებული მაყურებლისათვის და, რადგან ხელოვნების ამ ზეიმის ორგანიზატორი წერეთელი იყო, მე იგი მოვიხმე ჩემთან, რათა ერთად წარმდგარიყავით მაყურებელთა წინაშე. იგი მოკრძალებული ხასიათისა იყო და ამიტომაც ყოყმანობდა. შუა სცენაზე ძალით გამოვიყვანე. მაყურებელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა“ (ჯავახიშვილი 1990, გაზ. „თბილისი“).

მიუხედავად ფინანსური კრახისა, წერეთელმა მომდევნო 1905-1906 წლების სეზონშიც მიიღო მონაწილეობა, განაცხადში წარდგენილი ჰქონდა 140 სპექტაკლი და ისევ მოითხოვა დიდი სცენის დაქირავება. რა შედეგები მოჰყვა ამ სეზონს, ნაკლებად ცნობილია. თუმცა არსებული ინფორმაციებით ვიგებთ, რომ 1906 წელი მაინც წარმატებული გამოდგა წერეთლის დასისთვის, ოღონდ გასტროლებზე. წერეთელი დარწმუნდა, რომ ძნელი იყო პეტერბურგში მარინის და მოსკოვში ზიმინის თეატრების დასებისათვის კონკურენცია გაეწია და გეზი ევროპისკენ აიღო, კერძოდ, ბერლინს მიაშურა. ეს იყო 1908 წელი. მანამდე კი ალექსი წერეთელმა ამერიკაში მოაწყო თეოდორ შალიაპინის საოპერო ტურნეები.

შემდგომი, რევოლუციამდელი მოღვაწეობა ალექსი წერეთლისა ნაკლებადაა ცნობილი. მხოლოდ 1913 წელი გამოირჩევა იმით, რომ მან შეხვედრა მოუწყო ქართულ დიასპორას პეტერბურგში, სადაც ცნობილი საოპერო სახეებიც იყვნენ მიწვეული.

1917 წელს ალექსიმ დატოვა რუსეთი და ემიგრაციაში წავიდა. აქედან იწყება მისი ცხოვრების ახალი ეტაპი...

გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს პარიზში მოღვაწეობდა რამდენიმე რუსული საოპერო დასი. ამათგან გამორჩეული იყო „პარიზის რუსული ოპერა“ და „რუსული ოპერა პარიზში“. ერთს ხელმძღვანელობდა კირილ აგრენევ-სლავიანსკი, მეორეს – თავადი ალექსი წერეთელი.

ალექსი წერეთელმა საოპერო დასი 1929 წელს ჩამოაყალიბა ბანკირ ალფრედ მასნესთან ერთად. ეს მასნე გახლდათ ცნობილი მომღერლის – მარია კუზნეცოვას ქმარი. თავად კუზნეცოვა იმ პერიოდში განუმეორებელი სოპრანო იყო. ალექსი წერეთელმა გამოიყვანა იგი საოპერო ასპარეზზე 1904 წელს და იმდენად წარმატებული აღმოჩნდა მისი დებიუტი, მალე პეტერბურგის მარინის თეატრში მიიწვიეს. 1918 წელს დატოვა რუსეთი მარია კუზნეცოვამ. მას არერთი გასტროლი ჰქონდა ევროპის ქვეყნებში. იგი ცნობილი იყო იმითაც, რომ პირველმა შეასრულა თებრონიას პარტია რიმსკი-კორსაკოვის „კიტეჟში“და მასნეს „კლეოპატრაში“ მთავარი პარტია, რომელიც იმღერა მონტე-კარლოში 1919 წელს. ალექსი წერეთლის ახალი დასის ჩამოყალიბებისას მარია კუზნეცოვა მსოფლიო რანგის მომღერალთა ათეულში შედიოდა. ბუნებრივია, ასეთი მონაცემების მქონე ხელოვანისა და მისი მილიონერი ქმრის ხელშეწყობით ანტრეპრიზს წარმატება უნდა ჰქონოდა.

„პარიზის კერძო საოპერო დასის“ გახსნას ფართოდ გამოეხმაურა არაერთი პერიოდული გამოცემა. განსაკუთრებული ყურადღება ამ ფაქტს მიაქცია ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“, რომლის გარეკანზე მოთავსებულია მარია კუზნეცოვასა და ალექსი წერეთლის ფოტო. ჟურნალის კორესპონდენტი იულიან პოპლავსკი ვრცელ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას ახალი დასის შესახებ და ცალკე წერილს უძღვნის ალექსი წერეთელს, საუბრობს მის განსაკუთრებულ დამსახურებაზე რუსულ საოპერო ხელოვნებაში, აღფრთოვანებულია ამ პიროვნების დაუცხრომელი შრომისუნარიანობითა და ნიჭიერებით (პოპლავსკი 1929, №4: 2-4).

წერეთლის ანტრეპრიზი წარმატებით გამოდიოდა პარიზში რამდენიმე სეზონის განმავლობაში. ეს წარმატება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ გაზეთ „კომედიის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა: „ფრანგები, როგორც ადრე იტალიელების გასტროლებისას, ისეთივე სიხშირით დადიან რუსულ ოპერაში“ და მკითხველს მოაგონებდა იმ დროს, როდესაც მაღალგემოვნებიანი ფრანგი მაყურებელი აღფრთოვანებით ხვდებოდა ბელინის, როსინის, დონიცეტისა და ვერდის სასცენო წარმოდგენებს. წერეთლის დასმა ასეთი ფურორი გამოიწვია „მეფე სალტანის“,

„კიტეჟის“, „ფიფქიას“, „ალის“ და „სადკოს“ მაღალეფექტური დადგმებით. მაყურებლის მხარდაჭერამ დიდი სტიმული მისცა ემიგრაციაში მყოფ რუსულ ოპერას.

ანტრეპრიზის საქმიანობის შესწავლისას, როგორც მკვლევარი ანა პეტროვა აღნიშნავს, მთავარ პრობლემას ქმნის დოკუმენტების არასაკმაობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფრანგებს თავის დროზე არ უზრუნვიათ არსებული მასალების დაარქივებისათვის. გამონაკლისი აქვთ გაკეთებული რეჟისორ ნიკოლაი ევრეინოვის მიმართ. მისი ფონდი დაცულია საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, რომელშიც მოიპოვება ამ რეჟისორის მეუღლის – ანა კაშინას ხელნაწერი, სადაც საუბარია ევრეინოვის ურთიერთობაზე წერეთლის ანტრეპრიზთან.

ამასთანავე, განაგრძობს მკვლევარი, რამდენადმე გვეხმარება თავად ალექსი წერეთლის წერილები, ცნობილი მომღერლის მარია კუზნეცოვასა და რეჟისორ ალექსანდრე სანინის ჩანაწერები, ასევე, საფრანგეთის ნაციონალურ არქივში დაცული ჟაკ რუშეს ფონდი, მაგრამ ამ მასალებში უმეტესად საუბარია დასის სასცენო გამოსვლებზე, განსაკუთრებით ელისეის მინდვრების თეატრში, მაგრამ ნაკლებად ვიგებთ ამბებს ანტრეპრიზის შემოსავალ-გასავლის, სამეურნეო მდგომარეობის, ბიუჯეტის შესახებ. როგორც ჩანს, ასეთი ცნობების არქივი ალექსი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ განადგურდა (1942), არადა, იმ არქივში ბევრი რამ საინტერესო უნდა ყოფილიყო მისი თეატრალური სააგენტო „ცერბაზონის“ შესახებ. მხოლოდ პარიზის საოპერო კომედიის თეატრის არქივში მოიძებნა რამდენიმე ფურცელი დასის ფინანსური მდგომარეობის ერთი ეპიზოდის შესახებ (1932).

„რუსული ოპერის“ საქმიანობის შესახებ საინტერესოა ემიგრაციაში გამოცემული გაზეთების – „უკანასკნელი ცნობები“, „აღორძინება“, ჟურნალების – „ილუსტრირებული რუსეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „მსოფლიო და ხელოვნება“ – მიერ გაშუქებული მოვლენები. ამ ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები თითქმის ერთხმად წერენ საზეიმო ტონში დასის გამორჩეული მიღწევების შესახებ, რაც ბუნებრივიცაა – ემიგრანტული განწყობილება ერთგვარი რევანშის ხასიათით რომ წარმოდგენილიყო სამშობლოდან გაქცეული თუ გაყრილი ხელოვანების

მიერ. მაგალითად, ჟურნალ „მსოფლიო და ხელოვნებას“ რედაქტორი ანატოლი ვერშხოვსკი მოწინავე სტატიაში აღფრთოვანებით წერს: ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა მასარიკმა როცა ნახა „რუსული ოპერის“ წარმოდგენები, თქვა: რუსი პოლიტიკოსები ისეთივე წარმატებული რომ იყვნენ, როგორც ეს ხელოვანები, ისინი მსოფლიოს დაიპყრობდნენ.

წერეთლის პარიზულ დასში, როგორც წესი, მომღერლებს ხელშეკრულებით იწვევდნენ. შემონახულია ვიქტორია ტომინის სახელშეკრულებო ფურცელი, საიდანაც ვიგებთ, რომ მას გაუფორმა ალექსეი წერეთელმა ხელშეკრულება 1929 წლის 27 იანვრიდან 1929 წლის 27 ივნისამდე. ალექსეი წერეთელი ვალდებული იყო თითოელი მომღერლისთვის 1500 ფრანკი მიეცა ყოველთვიურ გასამრჯელოდ (იმდენივე, რასაც იღებდნენ საფრანგეთის სახელმწიფო ოპერის მომღერლები), სამაგიეროდ, დასის თანამშრომელი ვალდებული იყო მკაცრად დაეცვა დირექტორის მოთხოვნები. არტისტი სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე სხვა ანტრეპრენიორთან ვერ ითანამშრომლებდა, თუნდაც ერთ წარმოდგენაში. იგი ამ ვადის განმავლობაში ყველა რეპეტიციას უნდა დასწრებოდა, ჰქონდა თუ არა როლი მაინც, ვერსად წავიდოდა დირექტორის წერილობით მიცემული თანხმობის გარეშე. ერთი სიტყვით, მსახიობი სახელშეკრულებო ვადაში წარმოადგენდა დასის სრულყოფილ საკუთრებას.

დასის პირველი წარმოჩენა მოხდა ელისეის მინდვრების თეატრში, 1929 წლის 27 იანვრიდან 18 ივნისამდე. აჩვენეს ოთხი სპექტაკლი: “მთავარი იგორი“, “ფიფქია“, „კიტეჟი“, „მეფე სალთანი“. თებრონიას, იაროსლავასა და თოვლისქალის მთავარ პარტიებს ასრულებდა მარია კუზნეცოვა. საერთოდ წერეთელი ძალიან მომზადებული შეხვდა ამ სეზონს. დირიჟორი გახლდათ ემილ კუპერი, მანამდე პეტერბურგის მარინის, შემდეგ კი რიგის ოპერის თეატრების მუსიკალური ხელმძღვანელი. კოსტიუმები და დეკორაციები ეკუთვნოდათ მხატვრებს – ივან ბილიბინსა და კონსტანტინე კოროვინს. ქორეოგრაფია ჩაიბარა ბუენოს-აირესიდან ჩამოყვანილმა მიხეილ ფოკინმა. წერეთელმა შეიერთა ბერლინში მოქმედი ბორის რომანოვის საბალეტო დასი, მილიტრისას („მეფე სალთანი“) პარტიის სამღერლად

ბელგრადიდან მოიწვია ქსენია როგოვსკაია. უკრავდა ვალტერ სტრარამის პარიზის მუსიკალური ორკესტრი.

როგორს აღნიშნავენ, წერეთლის დასმა დიდ წარმატებას მიაღწია და არაფრით ჩამორჩა მანამდე პარიზში ცნობილ დიაგილევის „რუსულ ბალეტს“. იმავე წლის შემოდგომაზე „რუსული ოპერა“ შორეულ გასტროლებზეც გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში (ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი, ჩილე, კუბა). უნდა ითქვას, რომ ეს გასტროლები ჩავარდა. მარია კუზნეცოვა პარიზში დაბრუნდა. შვილს, მიშელ ბენუას, დაუტოვა დასი საზრუნავად. ლათინური ამერიკის პატარა ქალაქებში მოუმზადებელმა გამოსვლებმა დასი ფაქტიურად გააკოტრა. მექსიკიდან არტისტები ევროპაში ლტოლვილის სტატუსით გამოამგზავრეს. ალექსი წერეთელი ამ მარცხს მანფრედ მასნეს ბრალად მიიჩნევდა და სასამართლოში კიდეც მოიგო პროცესი. მომავალი წლიდან მან განაახლა სპექტაკლები და დასსაც შეუცვალა სახელი, უწოდა „რუსული ოპერა პარიზში“.

ელისეის მინდვრების თეატრის მეორე სეზონი დაიწყო 17 მაისს და გასტანა 27 ივნისამდე. დასმა წარადგინა: „მთავარი იგორი“, „სადკო“ და პირველად გლინკას ოპერა „რუსლანი და ლიუდმილა“. წერეთელმა ამ სეზონისათვის მოიწვია ცნობილი მომღერლები: ლიდია ლიპკოვსკაია, დმიტრი სმირნოვი, ევგენია ლუჩეზარსკაია, გეორგი პოზუმკოვსკი. დირიჟორობდა ალბერტ კოუტსი, ხოლო საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა ბრონისლავა ნიჟინსკაია. ამ ამბების შესახებ საზოგადოებას აუწყებს ჟურნალი „მსოფლიო და ხელოვნება“, ვიქტორ ვალტერის რეცენზიაში მაღალპროფესიონალურადაა წარმოდგენილი ალექსი წერეთლის დასის შესაძლებლობანი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წერეთლის წვლილს, როგორც დასის დირექტორისას, „რუსლანი და ლიუდმილას“ ორიგინალურად მომზადებისათვის. რეცენზიას თან ახლავს მხატვარ ლუკინას მიერ შესრულებული დასის ხელმძღვანელთა ნახატები (მსოფლიო და ხელოვნება 1930, №3, 15 მაისი).

1930 წლის შემოდგომაზე დასს შეუერთდა ფიოდორ შალიაპინი. ელისეის მინდვრების თეატრის საზამთრო სეზონისათვის დაიდგა „ალი“ და „ბორის გოდუნოვი“, ასევე რეპერტუარს შეემატა რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“.

განსაკუთრებული წარმატება წერეთლის დასს ჰქონდა 1931 წელს ლონდონში; კვირაში ექვსი დღე აჩვენებდნენ სპექტაკლებს.

მიუხედავად აღფრთოვანებული გამოხმაურებებისა, დასმა მაინც ვერ შეძლო ფინანსურ კრახს ასცდენოდა, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკურმა კრიზისმა, ზოგიერთი სამართლებრივი ნორმების დაუცველობამ და რუსული დიასპორის გაღარიბებამაც. დასი ფაქტიურად დაიშალა და შემდგომი წლიდან იგი სპექტაკლებს წარადგენდა პარიზის კომედიის თეატრში. 1933 წლიდან წერეთელის დასმა ისევ შეიცვალა სახელწოდება. ამჯერად მას „რუსული ოპერა და ბალეტი მ.ე კაშუკის ხელმძღვანელობით“ დაარქვეს. მაგრამ არც ამ ცვლილებებს, არც შალიაპინის ხელოვნებას, არც იმას, რომ პირველად წარდგენილ იქნა მაყურებლისათვის ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, მდგომარეობა ვერ შეცვალა, პირიქით, 1934 წლის ბოლოს ანტრეპრიზმა ლონდონშიც ვერ შეძლო გასტროლებზე წასვლა. ამის შემდეგ, სხვადასხვა დროს, დასი ახერხებდა სპექტაკლების დადგმას, მაგრამ 1934 წლიდან მან ვერ მოახერხა ეგრეთ წოდებული „სეზონის“ გამართვა...

აკაკი მთელი სიცოცხლის მანძილზე შეტრფოდა რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწე შვილის ნიჭს, განათლებას, მიზანსწრაფულობასა და ენერგიას. თანამედროვეთა მოგონებებით, ალექსი ერთობ სიმპატიური ადამიანი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე, კარგი გარეგნობისა და კეთილი გულის პატრონი. მამა ძალიან უყვარდა და თუმცა ქართული ნაკლებად იცოდა, მაგრამ მამის თხზულებათა შინაარსი ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული. ერთხელ ალექსის უცდია სხვების დახმარებით მამისთვის წერილი ქართულ ენაზე მოეწერა. ამით აღფრთოვანებულმა აკაკიმ უპასუხა: „შენმა ქართულმა წერილმა ძალიან გამახარა. არასოდეს საეჭვოდ არ მიმაჩნდა შენი ნიჭიერება და ენერგია. ჩემს ახლოს შეგეძლო ასჯერ მეტი სარგებლობა მოგეტანა და ჩვენც არ გავმწარდებოდით“.

ნატალია საქართველოში ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა, მაგრამ ურთიერთობა, ძირითადად მიმოწერის სახით, მუდმივად ჰქონდათ. აკაკი 1905 წლის ზაფხულში და 1909 წელს რამდენიმე თვის მანძილზე სამკურნალოდ

იყო ჩასული საფრანგეთში და, ლევან ასათიანის ცნობით, ცოლ–შვილთან ცხოვრობდა. ალექსი წერეთელს მაშინ საოპერო დასი ჰყავდა პარიზში საგასტროლოდ ჩაყვანილი. როდესაც აკაკი ავად გახდა, ნატალია თბილისში ჩამოვიდა და დაადგა თავზე, თავისებურად უნდოდა კარგად მოევლო (თაყაიშვილი 2013: 02).

ალექსი წერეთელი არ დაქორწინებულა. ნატალია ბაზილევსკაია 1933 წლის 28 მარტს გარდაიცვალა, ალექსი – 1942 წელს. პარიზში იმ დროს ფაშისტური რეჟიმი მძვინ-ვარებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ალექსის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. როგორც ევთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, თავისი დასის მთელი რეკვიზიტები, პირადი ქონება და ბიბლიოთეკა წერეთელმა „მომავალი თავისუფალი საქართველოს თეატრს" უანდერძა. საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა მილიონ-ნახევრად იყო შეფასებული. თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ ანდერძი არაქმედითად იქნა ცნობილი და მთელი ქონება აუქციონზე გაიყიდა.

ალექსი წერეთელი დაკრძალულია პარიზის მახლობ-ლად, სენტ-უანის სასაფლაოზე, დედის გვერდით. გურამ შარაძის ცნობით, სასაფლაოს საფასური ალექსის 30 წლის ვადით, 1971 წლამდე ჰქონია გადახდილი. 1981 წელს საფლავი გაუუქმებიათ და მის ადგილზე ჯერ ვინმე გუსტავ ნოტბარტი, ხოლო 1988 წელს, მისი მეუღლე – იბეტ ნოტბარტი დაუკრძალავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი 1965 – ასათიანი ლ., ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბილისი, 1965.

ვალტერი 1930 – ვალტერი ვ., რუსული ოპერა პარიზში. ჟურნალი „მსოფლიო და ხელოვნება", №3, 1930, 15 მაისი, პარიზი (რუსულ ენაზე).

თაყაიშვილი 2013 – თაყაიშვილი ე., მოგონებები აკაკი წერეთელზე, 2013.02. https:eqvtimetayaishvili, files, wordpress.com

თევდორაძე 1987 – თევდორაძე ნ., რუსული ოპერის მოამაგე, ჟურნალი „თეატრალური მოამბე", №3, 1987.

პეტროვა 2013 – პეტროვა ა., „რუსული ოპერა“ პარიზის სცენაზე, ჟურნალი „OPERA MUSICOLOGICA”, 2013, №3 (რუსულ ენაზე).
პოპლავსკი 1929 – პოპლავსკი ი., კერძო ოპერის გახსნა. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, №4, 1929, პარიზი (რუსულ ენაზე).
წერეთელი 1963 – წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV. თბილისი, 1963.
წერეთელი 1966 – წერეთელი ა., წერილები ცოლ-შვილთან. თბილისი, 966.
ჯავახიშვილი 1990 – ჯავახიშვილი ი., მემკვიდრე. გაზეთი „თბილისი“, 1990, 9 ივლისი.

წყაროები

ივერია 1902 – გაზეთი „ივერია“, 1902, №208, 1 ოქტომბერი, სამშაბათი; №209, 3 ოქტომბერი, ხუთშაბათი; №226, 24 ოქტომბერი.
მსოფლიო და ხელოვნება 1930 – ჟურნალი „მსოფლიო და ხელოვნება“, 1930, №3, 15 მაისი, პარიზი.
ცნობის ფურცელი – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, №1931, შაბათი, 21 სექტემბერი.

Gia Khoferia

ABOUT AKAKI TSERETELI›S SON - ALEX

Summary

Akaki Tsereteli›s son, Alex, worked abroad, namely in France, since 1917. He emigrated with his mother. After settling in Paris, he continued to be an entrepreneur. Actively involved in European theater activities. His opera troupe stood out especially in the years 1928-1930. Under his leadership, the «Russian Opera of Paris» toured not only throughout France and Europe in general, but also held concerts in many cities of Latin America.

There are many reviews about the special success of Alexi Tsereteli›s opera troupe in the European periodicals of that time, on the other hand, the Russian emigre press was not left behind and its pages also printed correspondences covering the work and merits of this troupe. Attention was drawn to the fact that Alexi Tsereteli troupe was able to offer the audience a new artistic interpretation of world-famous opera works, which led to the fact that the head of the troupe was able to gather not only recognized conductors, decorators, but also actors of the highest rank.

From the beginning of the 30s of the last century, the opera work of Alexi Tsereteli could no longer continue with the old success, however, due to his achievements, he is unanimously recognized as an outstanding leader-organizer of the development of not only Russian, but also world opera art.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი
ზ ა ზ ა ა ლ ე ქ ს ი ძ ე

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა – 87 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, არმენოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე.

ზაზა ალექსიძე დაიბადა თელავში 1935 წლის 18 ოქტომბერს. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1958-1968 წლებში იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, 1968-1979 წლებში – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1979-2006 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგე. 1989-2006 წლებში მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორად. 2006 წლიდან იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და არმენოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი; 2002-2004 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი. დაფუძნების დროიდან გარდაცვალებამდე იყო გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ზაზა ალექსიძე 190-ზე მეტი ნაშრომის ავტორია, მათ შორის 25 მონოგრაფიისა. მისი მეცნიერული კვლევის სფერო მრავალფეროვანია. თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის პერიოდში მან უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევის საქმეში. დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის ნაშრომს „ეპისტოლეთა წიგნი“ (1969). ტექსტისთვის დართული გამოკვლევა შეეხებოდა ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: ქართული და სომხური

ეკლესიების ურთიერთობა, კავკასიის ხალხების ანბანთა წარმოშობა... ქართულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებასთან დაკავშირებული წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური საკითხები ასევე ახლებური თვალთახედვითაა განხილული მის წიგნებში: „X საუკუნის მიწურულისა და XI საუკუნის დასაწყისის ცნობილი სომეხი მოღვაწის უხტანესის თხზულების - „განყოფისათვის ქართველთა სომეხთაგან“ ქართული თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით (1975), XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ავტორის - არსენ საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ (1980).

განსაკუთრებული ღირებულებისაა ზაზა ალექსიძის ნაშრომები, რომლებიც სინას მთაზე ქართველ მეცნიერთა რამდენიმე ექსპედიციის დროს გამოვლენილი მასალების კვლევის შედეგებს ასახავს (1990-2000). მეცნიერმა X საუკუნის ქართულ პალიმფსესტში ალბანური მწერლობის ძეგლი აღმოაჩინა, რომელიც შემდეგ გაშიფრა. ხელნაწერში უძველესი იერუსალიმური ლიტურგიის ამსახველი „ლექციონარის“ ალბანური თარგმანი დადასტურდა. ამ აღმოჩენას ევროპულმა გამოცემებმა „მსოფლიო სენსაცია“ უწოდეს. ზ. ალექსიძე ითვლება ალბანოლოგიის, როგორც მეცნიერული დარგის, ფუძემდებლად.

ძალიან მნიშვნელოვანია სინურ ხელნაწერთა კოლექციაში მეცნიერის მიერ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ასურელ მამათა ცხოვრების“ უძველესი რედაქციების აღმოჩენაც. ამ მასალის შესწავლის შედეგად ბევრი აქამდე უცნობი ფაქტი გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი. ზ. ალექსიძემ ასევე გაშიფრა ლუვრში დაცული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი. ასევე, აღსანიშნავია მისი დამსახურება პეტრიწონის მონასტრისა და მისი დამაარსებლის - გრიგოლ ბაკურიანის ძის წარმომავლობასთან დაკავშირებულ საკითხთა კვლევაში.

ცალკე, საგანგებოდ, ხაზგასასმელია ზაზა ალექსიძის აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დღესაც წარმატებით ფუნქიონირებს მისი ძალისხმევით შექმნილი ქართული არმენოლოგიის სკოლა.

როგორც ზაზა ალექსიძის მრავალმხრივი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლის ფრაგმენტულად წარმომჩენი ამ ნეკროლოგიდანაც თვალნათლივ ჩანს, თავისი მოღვაწეობით მან გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერთა კოჰორტაში.

ავტორთა მონაცემები

ელდარ ბუბულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გოჩა კუჭუხიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

მარიამ ცაცანაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გია ხოფერია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

ELDAR BUBULASHVILI
Senior scientific employee of the Institute History and Ethnology of Ivane Javakhishvili, Doctor of Historical Sciences.

GOCHA KUCHUKHIDZE
Senior scientific employee of the Institute of Georgian Literature named after Shota Rustaveli, Doctor of Philology.

MARIAM TSATSANASHVILI
Professor of the University of Economics and Law of Georgia, Doctor of legal sciences, academician of Gelati Academy of Sciences.

GIA KHOPERIA
Akaki Tsereteli State University, Associate Professor, Doctor of Philology.

სარჩევი

მილოცვა პატრიარქს 3

საშობაო ეპისტოლე 4

ელდარ ბუბულაშვილი – ღვაწლი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორისა 8

მარიამ ცაცანაშვილი – ინფორმაცია (გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალური დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის N02/65 ბრძანების საფუძველზე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა) 29

გოჩა კუჭუხიძე – რენესანსის საწყისებთან (წერილი მეორე) 41

გია ხოფერია – აკაკი წერეთლის ვაჟის - ალექსის კვალდაკვალ 59

ნეკროლოგი – ზაზა ალექსიძე 76

ავტორთა მონაცემები 78

CONTENTS

CONGRATULATIONS TO CATHOLICOS-PATRIARCH 3

CHRISTMAS EPISTLE 4

ELDAR BUBULASHVILI - The merits of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II 8

MARIAM TSATSANASHVILI - A Temple like Another Vault of Heaven (Towards the issue of u nderstanding of the medieval literary canon, biblical discourse and one topos in David the Builder's historical narrative) 29

GOCHA KUCHUKHIDZE - At the Origins of Renaissance (Letter two) 41

GIA KHOPERIA - About Akaki Tsereteli›s son - Alex 59

OBITUARY - ZAZA ALEKSIDZE 76

CONTRIBUTORS 79

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelatisakademia1@gmail.com

დამკაბადონებელი
შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.
ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;
პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა